# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 8 მარტი 2006 №51 (2673) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდიდიო




AFP მარსელინოდან



## ასათიანის ლავიწი ორთვიანია

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივის“ ესპანურ შეკრებაზე დაშავდა და გუშინ ოპერაცია გაიკეთა. ჩვენებურს გატეხილ ლავიწის ძვალზე ესპანელმა ქირურგებმა უაქიმეს და წინასწარი დიაგნოზიც დაუსვეს — დაახლოებით ორთვიანი უქმობა.

გუშინვე ნაოპერაციევ მალხაზს რომ დავუკავშირდით, ასეთი პასუხი მივიღეთ: „ოპერაციის შემდეგ თავს ნორმალურად ვგრძნობ. ჯერჯერობით აქ დავრჩები და შესაძლოა, მოსკოვში გუნდთან ერთად დავბრუნდე. ყოველ შემთხვევაში, საგანგაშო უკვე აღარაფერია“.

იქამდე კი „ლოკომოტივმა“ ამხანაგურ მატჩში 3:0 მოუგო „მარბელას“ და ერთი ბურთი შეცვლაზე შესულმა გიორგი ჭელიძემ გაიტანა.

# ზურაბ იონანიძისთვის დინამოს კარი მუდამ ღიაა

## სტუმართ მასპინძლობა ცალ-ცალი გოლით




ბადრი კეთილაძის ფოტო

კოლხეთი — ამერი. სტუმრების ნახევარფინალური გოლი „ფაზისზე“

ბოლო ერთ წელიწადში „ზესტაფონმა“ მეოთხედ, ნამალევით გამონერილი 1:0 მოუგო „დინამოს“. გოლის ავტორსაც რა მარჩიელობა უნდა: ცხადია, ზურაბ იონანიძე, ვისაც დინამოელთა გამწარება ხელობად ექცა. ფეროელებმა სერიოზული ჰანდიკაპი შეიქმნეს საპასუხო მატჩისთვის, მაგრამ, ვინ იტყვის, თბილისში „დინამო“ მატჩის ამომქაჩველი არააო?

დანარჩენ სამ წყვილში კი ნახევარფინალისტები გაირკვნენ: „ამერმა“ შინ გასაკეთებელი ფოთში გააკეთა — თენგიზ ჩიკვილაძის გოლით სძლია „კოლხეთს“.

ბოლნისის „სიონმა“ ბორჯომშიც 1:0 მოიგო და რიხინ-რიხინით გავიდა ნახევარფინალში, ისევე, როგორც „ვიტ ჯორჯია“, რომელიც დასუსტებულ „ლოკომოტივს“ დავით იმედაშვილის ადრიანი გოლით მოერია. ასე გამოცხვა ოთხიდან ოთხივე 1:0.

# დავით ყიფიანის თასი
## მეოთხედფინალი

# 100 პროცენტი: საკმარისიც და ცოტაც



ბადრი კეთილაძის ფოტო

თენგიზ ჩიკვილაძის ნახევარფინალური გოლი

ფოთი. 7 მარტი. 14 საათი. ფაზისი

**კოლხეთი 0:1 ამერი (0:0)**

0:1 ჩიკვილაძე (37)

| | |
|---|---|
| **კოლხეთი:** ხარძეიშვილი, ზ. რაზმაძე, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, ვართაგავა, ქობულაძე, კრასოვსკი, ნარსია (წაბრია 78), ზ. ჯანაშია, მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე (წიქარიშვილი 55) *სათადარიგონი:* ლატარია; ლოლუა, ყურაშვილი, გ. სახოკია **მწვრთნელი:** სოსო ფილია | **ამერი:** ლ. ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, დოლიძე (კუდელაშვილი 86), დეკანოსიძე (გარუჩავა 68), ა. კაიდარაშვილი, სევასტოპულო, ს. დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 88) *სათადარიგონი:* ნაჭყეპია; ელბაქიძე, ბოლქვაძე, სილაგავა **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე |

**გაფრთხილება:** სევასტოპულო (40), რაზმაძე (74)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი

**კოტე კეკელია ფოთიდან**

**თავდაპირველად** ცოტაოდენი სტატისტიკა: „კოლხეთისთვის" ეს საქართველოს თასის მეცხრე მეოთხედფინალი იყო და ცხრიდან მხოლოდ ერთხელ, 12 წლის წინ გააღწია ნახევარფინალში. სამი წლის „ამერმა" კი მეორე ცდიდან გააღწია ნახევარფინალში.

გარდა ამისა, „ამერი" ამ სეზონში ერთადერთ გუნდად რჩება, „ფაზისს" გასალები რომ მოარგო: ფოთელებმა ამ სეზონში შინ 12 ოფიციალური მატჩი ჩაატარეს, მათგან რვა მოიგეს, ორი ფრედ დასრულეს და ორჯერ დამარცხდნენ — ორივეჯერ „ამერთან", ჯერ ჩემპიონატში და ახლა თასზე.

ისიც ვთქვათ, რომ „ამერი" მატჩამდე სამი დღით ადრე დაბინავდა დაბა გრიგოლეთში, რაც იმის დასტურად გამოდგება, თუ როგორ სერიოზულად მიუდგა თბილისური გუნდი ამ თამაშს.

თამაში კი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. მე-4 წუთზე ფაზისელთა ბომბარდირი ზვიად ქუთათელაძე გადიოდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მცველებმა მიუსწრეს და ბოლოწამს ბურთი ფეხიდან ააცალეს.

შვიდ წუთში მასპინძლებს კიდევ ერთი შანსი მიეცათ: ჯარიმით ჩაწოდებული ბურთი გიორგი კრასოვსკის მიუვიდა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ მოახერხა და კარს ააცილა. ცოტაც და, მე-11 წუთზე დავით ნარსიას მეტისმეტად სახიფათოდ დარტყმული ლადო ნადირაშვილმა ნახტომით კუთხურზე მოიგერია.

ამ დროის განმავლობაში „ამერს" ერთი მომენტი ჰქონდა — გრიგოლ დოლიძემ მეკარის ბაქნიდან ააცილა.

„ამერმა" მასპინძელთა სასტარტო მიწოლას გაუძლო, თამაში გაათანაბრა და საკუთარი კარიდან მოშორებით გადაიტანა. ნახსენები მე-11 წუთიდან მოყოლებული, ტაიმის ბოლომდე კოლხებს ნადირაშვილი აღარ შეუწუხებიათ, თუმცა თავადაც კარგად იცავდნენ თავს და არც მათ მეკარე დავით ხარძეიშვილს ჰქონია ბევრი საქმე.

მატჩის ბედი კი პირველი ტაიმის დასრულებამდე რვა წუთით ადრე გადაწყდა. მასპინძლებმა მარცხენა ფლანგზე გრიგოლ დოლიძე წააქციეს. გიორგი დეკანოსიძემ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც თენგიზ ჩიკვილაძემ თავი წაჰკრა და შორეულ ძელთან შეაგდო — 0:1.

ფოთელთა მწვრთნელმა სოსო ფილიამ კი ნამატჩევ პრესკონფერენციაზე გოლი ასე აღწერა: პირველი შეცდომა უსარგებლო ჯარიმის აკიდება იყო, რის მერეც პოზიციური შეცდომა დავუშვით, ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს საჯარიმო მოედნის სიღრმეში, ჩვენს კართან ძალიან ახლოს დავუხვდითო.

გოლმა ფოთელთა მდგომარეობა, ფაქტობრივად, უიმედო გახადა, რადგან ძნელად წარმოსადგენი იყო, „კოლხეთს" „ამერისთვის" ორი გოლით ეპასუხა.

ყოველ შემთხვევაში, ფოთელებმა ეს საქმე მეორე ტაიმისთვის გადადეს, შესვენებამდე კი აღსანიშნი ერთი ეპიზოდიც გამოერია: დავით სევასტოპულომ მასპინძელთა კარში მეორე გოლიც გაიტანა, მაგრამ რაკი ბურთის კარში შეგორებას ხელიც წაახმარა, გოლის არჩათვლასთან ერთად გაფრთხილებაც მიიღო.

შესვენებისას გიორგი ჩიხრაძემ თავისი გუნდის დამოძღვრა თურმე ასე დაიწყო: დაივიწყეთ, რომ ვიგებთ!

ვფიქრობთ, ჩიხრაძის ფეხბურთელებმა ანგარიში მაინც ვერ დაივიწყეს, რადგან მეორე ტაიმში აღწერის ღირსი ერთი მომენტიც არ შეუქმნიათ, მაგრამ სამართლიანობისთვის აღვნიშნოთ, რომ მეტოქესაც არ უშვებდნენ საკუთარ კარამდე. შესვენების მერე ერთადერთი სახიფათო მომენტი ისევე კრასოვსკის ჰქონდა, როცა დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან დაარტყა, ბურთს კი ნადირაშვილის მუშტი დახვდა.

ეს იყო და ეს. ბოლოსთვის კი ერთი სტატისტიკური მონაცემი და ერთი ფაქტი: „ამერმა" კარში ერთადერთხელ დაარტყა და გაიტანა, ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასპროცენტიანი რეალიზაცია ჰქონდა. ხოლო „ფაზისზე" გულშემატკივართა მოზრდილი ნაწილი მეორე ტაიმისთვის მოვიდა — თამაშის დაწყებას ერთი საათით გვიან, 15 საათისთვის ელოდნენ.

# ცხადაძემ რევანში სიონით აიღო

ბორჯომი. 7 მარტი. 14 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 1 500 (ტევადობა 5 000)

**ბორჯომი 0:1 სიონი (0:1)**

0:1 ბაჯელიძე (33)

| | |
|---|---|
| **ბორჯომი:** მამალაძე, საჯაია, ს. ბურნაძე, ლ. მერებაშვილი, ბაქრაძე (შ. ჯიქია, 46), მესხი, გ. ჩხეტიანი (მემარნიშვილი, 78), გაბისკირია (სებალე, 65), აფციაური, გეწაძე, დე პორასი *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ჯანგიძე, სანიკიძე **მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე | **სიონი:** ბათიაშვილი, კობაური, დ. ხვანიძე, რაქვიაშვილი, ლ. ჭელიძე, ბაჯელიძე, ა. ალავიძე (კვიტაიშვილი, 74), უგრეხელიძე, მიკუჩაძე (ჭიჭვეიშვილი, 59), ხუციშვილი (სირბილაძე, 46) *სათადარიგონი:* ბობღიაშვილი; ოქროპირიძე, ბეგლარ თედორაძე **მწვრთნელი:** კახა ცხადაძე |

**გაფრთხილება:** მესხი (19), ჩხეტიანი (22), ლ. ჭელიძე (41), გეწაძე (73), სებალე (89)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი)

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

**გიორგი ნოზაძე ბორჯომიდან**

**მიმდინარე** ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში „ბორჯომმა" თბილისში „დინამოს" 2:1 სძლია. ჩემპიონებს მაშინ კახა ცხადაძე ედგათ სათავეში, გუშინ კი ცხადაძემ სრულფასოვანი რევანში „სიონით" აიღო. ერთბურთიანი ჰანდიკაპი საპასუხო შეხვედრის წინ მშვიდად ყოფნის უფლებას არ აძლევდა ბოლნისის „სიონს" და მასპინძლებმაც ისეთი რიხით დაიწყეს, ბორჯომელმა ქომაგებმა გოლთაცვენის მოლოდინში ხელები მოიფშვნიტეს. პირველ ორ წუთში ჩაწოდებული სამი კუთხური და იური გაბისკირიას სახიფათო დარტყმა მაქსიმუმი აღმოჩნდა და ბოლნისელთა კართან ქარიშხალმა მალევე გადაიარა. მოედანზე ტაქტიკური ბრძოლა გაჩაღდა და ნათელი გახდა, რომ ამ ეტაპზე „სიონს" გაცილებით გამართული ფეხბურთის ჩვენება შეუძლია. ცხადაძის გუნდმა თითქოს დათმო ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ ბურთს მოიხელთებდა თუ არა, სწრაფ კონტრშეტევებს ქსოვდა — ფლანგებიდან უგრეხელიძემ და ალავიძემ, ცენტრში კი ხმალაძემ გასაქანი არ მისცეს მეტოქეს. საწყის ნახევარ საათში რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე მაინც არ მისულა, 33-ე წუთზე კი ცხადი გახდა, რომ დამატებითი დროის ნახვა აღარ მოგვიწევდა: რაქვიაშვილმა ცენტრიდან წალებული ბურთი ოდნავ მარცხნივ, საჯარიმოში მიკუჩაძეს შეაყოლა. კოკამ წყალი მოიტანა, გამჭოლი გადაცემით ბურთი ფეხზე დაასვა ცარიელი კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ლევან ბაჯელიძეს და 0:1.

მასპინძლები გაშვებული გოლის შემდეგ გააქტიურდნენ და ხუთ წუთში გათანაბრებაც შეეძლოთ, მაგრამ დე პორასის მიერ საჯარიმოს წინა ხაზიდან ნახევარბრუნში დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა. არადა, რომ გასულიყო, ულამაზესი გოლი გამოვიდოდა. ტაიმის ბოლომდე „ბორჯომი" მეტს ვერც ვერაფერს გამორჩა, ახლო მანძილიდან მიხეილ მესხის გაცუდებულ დარტყმას თუ არ ჩავთვლით.

მეორე ნახევარში ქვემოქართლელთა უპირატესობა კიდევ უფრო საჩინო გახდა და ოდნავ მეტად რომ მოფრთხილებოდნენ საგოლე მომენტებს, დიდი ანგარიშით გამარჯვებასაც შეძლებდნენ. 69-ე და 72-ე წუთებზე მარტო ალავიძეს ორი „მკვდარი" ბურთი აუღო მამალაძემ, შუალედში კი ერთი მცველის პირისპირ დარჩენილმა ოთხმა ბოლნისელმა მარტივი კომბინაციის გათამაშება ვერ შეძლო — სირბილაძე და კვიტაიშვილი ვალდებულნი იყვნენ, გაეტანათ...

„ბორჯომმა" მეორე ტაიმში სახიფათოდ ორჯერ გაისროლა. ჯერ სებალე-დე პორასის არგენტინული კედელი ბათიაშვილისთვის ბურთის თავზე გადაგდებით გავრძელდა, მაგრამ მცველებმა განმუხტეს სიტუაცია, ჯიქიას ჯარიმა კი იმავ ბათიაშვილმა დაბალი კუთხიდან „გამოაძრო". ჯიქიამ საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე მაინც გაიტანა, თუმცა თანამსაჯს მანამდე აღემართა ალამი.

„სიონის" ფეხბურთელებმა ნახევარფინალში გასვლისთვის 1000-1000 ლარი მიიღეს და თუ ამ ეტაპსაც გაივლიან, სამჯერ მეტით გამდიდრდებიან. ბორჯომის სტადიონსაც სიმღერით ტოვებდა ბოლნისიდან ოთხი მიკროავტობუსით ჩამოსული „სიონის" ფანობა.

**პრესკონფერენცია**

*კახა ცხადაძე:* პირველ 15 წუთში ბიჭებმა თვითნებურად დათმეს ტერიტორიული უპირატესობა, თუმცა შემდეგ მდგომარეობა გამოვასწორეთ. ძალიან დიდი უპირატესობით უნდა მოგვეგო. ისეთი მომენტები გვქონდა, 100 კი არა, 300-პროცენტიანი რომ ჰქვია. შედეგი ლოგიკურია და მთელ გუნდს მადლობას ვუხდი. რაც მთავარია, მათ სწორად, თავდადებით ითამაშეს და წინასამატჩო დავალებები ბოლომდე შეასრულეს.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* გაიმარჯვა იმან, ვისაც უნდა გაემარჯვა. ამ თამაშით ევროპამდე ძალიან შორია. ათი დღის დაწყებული მაქვს მუშაობა და, ფაქტობრივად, ჩემს გუნდში თავდასხმას ვერ ვხედავ. ტაქტიკურად დიდი ხარვეზები გვაქვს და ვეცდებით გამოვასწოროთ.

# დავით ყიფიანის თასი

## მეოთხედფინალი

# იონა: დინამიტი დინამოსთვის



ზესტაფონი. 7 მარტი. 14 საათი. ცენტრალური. 6 000 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 1:0 დინამო

| | |
|---|---|
| 1:0 იონანიძე (71) | |
| **ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, თურმანიძე (ბენაშვილი 83), ს. თოდუა, შ. ლონლაძე განუგრავა, კ. ჩხეტიანი, ბუალავა, (ნუდნი 60), ფიფია, იმედაძე (ბ. გოცირიძე 70), გ. ჭელიძე, იონანიძე. სათადარიგონი: კვასხვაძე, ბ. ნოზაძე, ძამსაშვილი, ხიდეშელი. **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **დინამო:** გრიშიკაშვილი, კ. მახარაძე, გიგაური, ორბელაძე, ნავალოვსკი, ლ. ნოზაძე, ვიეირა (აკობია 76), შაშიაშვილი, ბობოხიძე, გ. მერებაშვილი (ს. იაშვილი 46; ა. კალაძე 80), ამბროზიო. სათადარიგონი: სტურუა; დვალი, მელქაძე, უ. ლობჟანიძე. **მწვრთნელი:** ანდრეი ჩერნიშოვი |
| **გაფრთხილება:** გრიშიკაშვილი (28), განუგრავა (72), მახარაძე (75) | |
| **გაძევება:** მახარაძე (75) | |
| **მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); დ. სანაია (ზუგდიდი) | |
| **დამკვირვებელი:** ვ. ეჯიბია; **დელეგატი:** პ. ბურჯალიანი | |

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**ბეხსომებათ,** ეს შეხვედრა 18 თებერვალს უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო 7 მარტისთვის გადაიტანეს.

უკვე მეორე სეზონია, თემურ მახარაძის „ზესტაფონს“ „დინამო“ გოლს ვერ უტანს და საინტერესო იყო, ამჯერად მაინც თუ გაიტანდა ანდრეი ჩერნიშოვის გუნდი...

ვერ ვიტყვით, დედა, ეს რა თამაში ვნახეთო, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ნორმალური სანახაობა იყო.

...ზურაბ იონანიძემ მკერდით ლამაზად ჩამოიღო ბურთი, კარისკენ ზურგით მდგომმა შეძლო შემობრუნება და დარტყმა — ბურთი მცველებს შეეხო და „დინამოს“ ხიფათი ასცდა.

...გამოსვლაზე უხეშად შეცდა სოსო გრიშიკაშვილი, ბურთი ხელიდან გაუვარდა — მეკარის დასჯა გიორგი იმედაძეს შეეძლო, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

...გიორგი განუგრავამ პასი დაახანა და დინამოელებმა ბურთი აწაპნეს. თითქოს ხიფათიც უნდა შექმნილიყო მასპინძელთა კართან, მაგრამ ბრაზილიელი ვიეირას გადაცემა გრიგოლ ჭანტურიამ ჩაჭრა.

...გოგი ფიფიამ სერგო ორბელაძეს საჯარიმოში აართვა ბურთი, რამდენიმე ცრუ მოძრაობა გააკეთა და კარშიც დაარტყა, თუმცა უშედეგოდ.

...წინა კვირის გმირს, ბრაზილიელ ამბროზიოს მე-40 წუთზე მორიგი ქართული გოლის გატანის რეალური შანსი მიეცა, მაგრამ ჭანტურიამ არ დაანება.

...ტაიმის ბოლოს ზურაბ იონანიძის ჩაწოდებულს შალვა ლონლაძემ დაჰკრა თავი — ბურთი კარს ზემოდან გადაევლო.

გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი კი 57-ე წუთზე გიორგი ჭელიძეს მიეცა — განუგრავამ გონივრული პასით პირისპირ შეატოვა გრიშიკაშვილს, თითქოს გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ გიორგიმ ააცილა.

„დინამოს“ პასუხიც მალე იყო: შეცვლაზე შესულ სანდრო იაშვილს მართებდა გატანა — გიორგი ნავალოვსკის ჩაწოდებულზე მძლავრად კი დაარტყა თავური, მაგრამ ჭანტურიამ ამჯერადაც იყოჩაღა.

71-ე წუთზე კი ექვსი ათასმა ზესტაფონელმა გაიხარა — მარცხენა ფრთაზე ექსდინამოელმა ჭელიძემ გაინავარდა, საჯარიმოში შესულმა პასიც არ დაახანა, გრიშიკაშვილი ბურთს თითებით კი შეეხო, მაგრამ იქვე იონანიძე გაჩნდა და, აბა, იონა რისი იონა იქნებოდა, დაუცველ კარში ვერ გაეტანა — 1:0.

თბილისელები ანერვიულდნენ და ეს მათ თამაშს აშკარად დაეტყო.

75-ე წუთი იყო, კახა მახარაძემ გიორგი განუგრავას მაისურზე რომ დაქაჩა — არბიტრმა მალხაზ მაისურაძემ თბილისელი გააფრთხილა, თუმცა ახალგაზრდა დინამოელმა ნერვები ვერ მოთოკა, არბიტრი უშვერი სიტყვებით შეამკო და წითელმა ბარათმაც არ დააყოვნა.

ჩერნიშოვს სხვა გზა აღარ ჰქონდა და შეცვლაზე შესული თავდამსხმელი სანდრო იაშვილი მცველ ანზორ კალაძით შეცვალა.

ამის შემდეგ ზესტაფონელებს მეორე გოლის გასატანად თავი დიდად არ გამოუდიათ და მატჩიც ასე დასრულდა.

**პრესკონფერენცია**

*ანდრეი ჩერნიშოვი:* დღეს ორი კარგი გუნდი წარსდგა ერთმანეთის პირისპირ, ჩვენმა მოწინააღმდეგემ შანსი გამოიყენა, ჩვენ კი — ვერა.

*თემურ მახარაძე:* გუნდმა კონკრეტული დავალება შეასრულა. ჩვენ მოვიგეთ, თუმცა, ცხადია, ყველაფერი საპასუხო მატჩში გადაწყდება.



ანზორ კალაძის და ამბროზიოს „დინამომ“ გიორგი განუგრავას „ზესტაფონთან“ ვერაფერი გააწყო

# ვიტვიტა და ბათურა

## ლოკომოტივი კიევის დინამომ გადაარჩინა

მცხეთა. 7 მარტი. 14 საათი. არმაზი. 200 (ტევადობა 3 000)

### ლოკომოტივი 0:1 ვიტ ჯორჯია (1:3)

| | |
|---|---|
| 0:1 იმედაშვილი (3) | |
| **ლოკომოტივი:** ზუხბაია, მიხაილიდი, ოგბაიძე, ებრალიძე, ფურთუხია, გულორდავა, ბარბაქაძე, ყიფიანი (მ. ელენტი 46), ყენია (მენაბდე 57), მეტრეველი (ჩივაძე 46), ალავერდაშვილი. სათადარიგონი: ლ. ლომიძე; კორიფაძე, ბახტაძე, პეტროსიანი. **მწვრთნელი:** სოსო სირაძე | **ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, კობიაშვილი (ლომაია 46), გველესიანი, იმედაშვილი (ლ. რაზმაძე 46), დილმელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, ფეიქრიშვილი (ლუქაშვილი 46), ზ. სახოკია, გელაშვილი. სათადარიგონი: ღრუბელეიშვილი; ჯაფარიძე, ბერიაშვილი, ებანოიძე. **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე |
| **მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. სილაგავა (თბილისი) | |
| **დამკვირვებელი:** ს. კვარაცხელია | |

**ილია ნანობაშვილი მცხეთიდან**

**რა** საერთოა საქართველოს ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებსა და „ლოკომოტივს“ შორის? ადვილი გამოსაცნობია — ორივეს 17-18 წლის ფეხბურთელებზე აქვს აქცენტი გადატანილი. ნაკრებში, იმედია, მალტის ტურნირის შემდეგ ეს ტენდენცია აღმოიფხვრება, „ლოკომოტივისა“ კი რა გითხრათ...

17-18 წლისები კი არა, რკინიგზელთა საუკეთესო ფეხბურთელი „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში 15 წლის ლევან ყენია გახლდათ. ცხადია, ვერ ხდება კარგი ამბები ვაკელთა ბანაკში — სოსო სირაძის ყმაწვილგუნდი თითქმის უბრძოლველად, მიჯრით აგებს და ისე არ მოხდეს, რომ ამ ჭაბუკებს წაგებულის ფსიქოლოგია კარიერის ბოლომდე გაჰყვეთ.

...„ვიტ ჯორჯიას“ ორბურთიანი მარაგი ჰქონდა და მსაჯის სასტვენს ორთქლი არ გასვლია, რომ სამბურთიანი გახადა. დავით იმედაშვილმა მარცხნიდან განივი პასი მიიღო, მცველს გაასწრო და აუღელვებლად გაიტანა — 0:1.

იმედაშვილს უკვე თავისუფლად შეგვიძლია ნახევარმცველი დავარქვათ: წლევანდელ მატჩებში ნესტორ მუმლაძე უცვლელად შუა ხაზში ათამაშებს.

გოლი იყო და მორჩა, პირველ ტაიმში მეტი არაფერი ჩაგვინიშნია: ძალიან მკვდარი თამაში იყო, აქეთ ზაზა სახოკიამ, იქით ლევან ყენიამ შექმნეს ფერმკრთალი მომენტები. მხოლოდ 68-ე წუთზე შეიქმნა ხიფათი და ისიც შემთხვევით: შეცვლაზე შესულ გიორგი ჩივაძეს ასხლეტილი ბურთი ჩაუვარდა ფეხებში, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ იქ ზედმეტი მოინდომა და... ამას მოჰყვა „ვიტ ჯორჯიას“ სწრაფი კონტრშეტევა, ცენტრამდე ნიკა გელაშვილმა, მერე კი დავით დილმელაშვილმა ლამის ნახევარი „ლოკომოტივი“ მოატყუეს, მაგრამ კარში დარტყმა ვერ მოახერხეს.

ვიტელები აშკარად შენელებულად თამაშობდნენ, ჩვეულ სიხისტეს ერიდებოდნენ და არც არაფერი რჯიდათ — ნახევარფინალი განაღდებული ჰქონდათ.

ერთი კია, „მწვანეებს“ ზედიზედ მეორე მატჩია, ერთ გოლზე მეტი ვერ გააქვთ და ეს კიევის „დინამოს“ უნდა დააბრალონ... მიგვიხვდით, ალბათ — ოთარ მარცვალაძის ფაქტორზე მივანიშნეთ. „ლოკომოტივს“ კი ჯერ ისედაც რა შემადგენლობა შემორჩა და პლუს, გიორგი კახელიშვილს და დაჩი ფოფხაძეს მიკროტრავმები აწუხებთ, ბრაზილიელი რამონი კი უფრო სერიოზულადაა დაშავებული.

მოკლედ, ნესტორ მუმლაძის გუნდმა მეოთხედფინალი ერთი ამოსუნთქვით გაიარა, დანარჩენი კი მერე ვნახოთ...

# ნოდარ ახალკაცი: კვარაცხელიას თვალში ხომ არ ვეპაჭარავები?!



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ევროპაშია და სხვა საკითხებთან ერთად საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების შესაძლო ტექნიკურ სპონსორებთან მოლაპარაკებას გეგმავს...
ხვალ შვეიცარიულ ნიონში ევრო 2008-ის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი შედგება...
გუშინ კი ჩვენმა ყოფილმა კოლეგა მამუკა კვარაცხელიამ პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, რომ ფედერაციას უპირისპირდება და შესაძლოა საპრეზიდენტო კანდიდატურაც წამოაყენოს...
ფედერაციის ამჟამინდელ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსაც გუშინ ამ ამბებთან დაკავშირებით დავურეკეთ...

— საქართველოს ნაკრებებისთვის შესაძლო ტექნიკურ სპონსორებთან მოლაპარაკებები გრძელდება და ეს საკითხი მალე მოგვარდება.

— როგორც ვიცით, რუსულ-ამერიკული ფირმა „2K“ უკვე მზადაა, 17 და 19-წლამდელთა, ასევე ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები უფასოდ შემოსოს. „2K“-სთან თანამშრომლობის ვარიანტს თუ განიხილავთ?

— რა თქმა უნდა, განვიხილავთ. ჩვენ უყურადღებოდ არც ერთ წინადადებას არ ვტოვებთ და საბოლოო არჩევანს საუკეთესოზე გავაკეთებთ.

— საბოლოო გადაწყვეტილებას როდის მიიღებთ?

— ტექნიკური სპონსორის ვინაობა საბოლოოდ, ალბათ, აპრილში გაცხადდება. იქამდე კი ფორმები დამზადდება.

— ევრო 2008-ის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი 9 მარტს უეფამ უნდა შეადგინოს. მოსალოდნელი ხომ არ არის, რომ უეფამდე კალენდარზე მეტოქეები მაინც შეთანხმდეთ?

— ამ კალენდარზე მოლაპარაკების ისტორია ისეთი იყო, რომ ნაკლებად მჯერა, კალენდარზე შევთანხმდეთ.

— ანუ უეფას უნდა დაველოდოთ?

— ვნახოთ, იქამდე ეგებ მეტოქეებმა საერთო ვარიანტი კიდევ გამოვნახოთ და უეფასაც დასამტკიცებლად შეთანხმებული კალენდარი მივაწოდოთ.

— გუშინ გავიგეთ, რომ ჩვენმა ყოფილმა კოლეგამ მამუკა კვარაცხელიამ შესაძლოა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე თავისი კანდიდატურა წამოაყენოს...

— ფედერაციის ყოფილ პრესმდივანზე ამბობთ?

— დიახ.

— მას თვალებში ხომ არ ვეპაჭარავები?! როგორც ვიცი, ფედერაციის პრეზიდენტობის ვადა 2007 წლამდე მაქვს. ისე კი, ფეხბურთის ფედერაციას აქვს წესდება და საპრეზიდენტო კანდიდატურების წამოყენებაც ამ წესდების შესაბამისად შეიძლება.

**კობა ინასარიძე**



## ნაკრებს და ლოკომოტივს უსათიანობა მოუწევთ

**საქართველოს** ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი ლიდერი, მალხაზ ასათიანი მძიმედ დაშავდა — ვარჯიშისას უხერხულად დაეცა და ლავიწის ძვალი გაიტეხა.

გეცოდინებათ, „ლოკომოტივი“ ესპანურ მარბელაშია შეკრებაზე და ჩვენებურსაც გუშინ დილით იქვე გაუკეთეს ოპერაცია. წინასწარი დიაგნოზით, მალხაზი დაახლოებით ორი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

მოკლედ, ასათიანი 22 მარტს ალბანეთთან გასამართ ამხანაგურ მატჩში საქართველოს ნაკრებსაც დააკლდება და ვერც 18 მარტს დასაწყებ რუსულ პრემიერლიგაში შეეშველება მოსკოველებს.

**კახა შალამბერიძე**

# კვარაცხელია ახალკაცის წინააღმდეგ

## დაპირისპირების ფორმას მომავალი გვიჩვენებს

გუშინ ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ყოფილმა უფროსმა მამუკა კვარაცხელიამ პრესკონფერენცია გამართა. ფედერაციის გარდა ის თბილისის „დინამოში“ და „თბილისშიც“ მუშაობდა პრესატაშედ, არის უეფას მედია-ოფიცერი, ახლა კი ღიად უპირისპირდება ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელ შემადგენლობას...



— მსურს, წარმოგიდგინოთ ჩემი პროგრამა, რომლის მიზანია, საქართველო გახდეს ფეხბურთის მექა, რისთვისაც აქ უნდა მოხდეს საფეხბურთო რევოლუცია. ქართული ფეხბურთი ყოველთვის უსწრებდა ქართულ სახელმწიფოს, რისი ერთ-ერთი დასტური ისიცაა, რომ 1990 წელს ქართული ფეხბურთი საბჭოურს გამოეყო, მაგრამ ახლა ჩვენი ფეხბურთი მაჩანჩალაა.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობას როგორ შეაფასებთ?

— უკვე ცხრა თვეა, ფედერაციის სათავეში ახალი ხალხი მოვიდა, მაგრამ ეს ფედერაცია „ზესტაფონის“ საქმეს აკეთებს და არა ქართული ფეხბურთისას. ილია კოკაია, ნოდარ ახალკაცი და გაიოზ დარსაძე — ეს ტრიო ემსახურება „ზესტაფონის“ ძლიერებას.

— თქვენი პროგრამის ძირითად ასპექტებზე რას გვეტყვით?

— ეს პროგრამა თერთმეტ პუნქტს მოიცავს. ეროვნული ჩემპიონატი გაზაფხულ-შემოდგომის სისტემაზე უნდა გადავიდეს, რადგან თებერვალში და დეკემბერში ჩვენს სტადიონებზე მატჩების გამართვა ძალიან ჭირს, თანაც ვკარგავთ და არ ვიყენებთ ივნისს. გაზაფხულ-შემოდგომის სისტემა რუსეთის გარდა კიდევ ევროპის რამდენიმე ქვეყანაშია. უმაღლესი ლიგა 16-დან ათ გუნდამდე უნდა შემცირდეს და ჩემპიონატი ოთხ წრედ უნდა ჩატარდეს. უნდა გაიმართოს დუბლების ჩემპიონატიც. პირველი ლიგა ორ ჯგუფად, აღმოსავლეთ-დასავლეთად უნდა დაიყოს, თითოეულში ათ-ათი გუნდით, ხოლო რეგიონულ ლიგაში ოთხი ჯგუფი უნდა იყოს, ორი აღმოსავლეთით, ორიც დასავლეთით. მსაჯთა ასოციაცია უნდა გამოეყოს ფეხბურთის ფედერაციას, ყველა მსაჯმა და მწვრთნელმა უნდა შეისწავლოს ინგლისური ენა. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ აჭარას, სადაც სასტუმროებთან უნდა გავაშენოთ საფეხბურთო მოედნები, რაც კომპლექსში უკვე საფეხბურთო ბაზა იქნება. ფედერაციის აღმასკომის სხდომა უნდა ჩატარდეს მინიმუმ თვეში ერთხელ და ნებისმიერ სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ ჟურნალისტები, ხოლო აღმასკომის ინერტული წევრები ახალი, აქტიური წევრებით შეიცვალოს.

— გაისად ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მორიგი არჩევნებია — აპირებთ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას?

— მე ვუპირისპირდები ფეხბურთის ფედერაციის ახლანდელ შემადგენლობას. ფედერაციის პრეზიდენტის „ზესტაფონთან“ კავშირზე ქართულ პრესაში უკვე საკმაოდ დაიწერა და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ყველაფერ ამას ვერ შევეგუები. ფედერაციის პრეზიდენტი „ზესტაფონის“ ვარჯიშებზეც კი დადის.

— ფაქტია, ვითარება შეიცვალა, ეროვნულ ნაკრებში ფედერაციამ კლაუს ტოპმიოლერი მოიწვია...

— ტოპმიოლერის ჩამოყვანა ხელისუფლების მითითებით და ფინანსური დახმარებით მოხდა და ამას ფედერაციის პრეზიდენტს მის აქტივში ვერ ჩავუწერთ. „ზესტაფონის“ ფეხბურთელების ტოპმიოლერის ნაკრებში შეიყვანაც მოახერხეს, რისი ლოგიკური შედეგიც მოვიმკეთ მალტაზე. ფედერაციის პრეზიდენტი ხალხს ატყუებს.

— კონკრეტულად რა ფორმით აპირებთ ფეხბურთის ფედერაციის ამ შემადგენლობასთან დაპირისპირებას?

— ამას მომავალი გვიჩვენებს.

— თქვენ მერაბ ჟორდანიას პრეზიდენტობისას მუშაობდით ფეხბურთის ფედერაციაში და მიგაჩნიათ, რომ მაშინდელ ფედერაციაში ყველაფერი რიგზე იყო?

— იმ ფედერაციიდან 2003 წელს წამოვედი. მანამდე კი ჟორდანიასდროინდელმა ფედერაციამ ააშენა ნაკრების ბაზა, ფედერაციის ოფისი, გადაიხადა წინა ფედერაციის ვალი — ასეულ ათასობით ლარი, შეიძინა „მერსედესის“ ავტობუსი ნაკრებისთვის. რაც შეეხება ნაკრების ბაზის მოედანს, მაშინდელი ფედერაცია ამ საკითხსაც მოაგვარებდა, მაგრამ საკადრო ცვლილებები მოხდა და მოედნის საკითხიც ვერ გადაიჭრა.

**დავით თავართქილაძე**

# ლოგოტიპი და კაი ტიპი

## რა გაქვს გულზე და... რა გაქვს გულში

**რამდენიმე** დღეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ტექნიკურ სპონსორთან ხელშეკრულებას გააფორმებს.

დიდი შანსია, მომავალ შესარჩევ ციკლში ჩვენი ეროვნული ნაკრები კვლავაც „პუმამ“ შემოსოს. განა რა — ჩვენს უპირველეს გუნდს სხვა ცნობილი ფირმების მაისურებიც უტარებია, მაგრამ...

მეტისმეტად მძიმე იქნება ეს მაისურა სატარებლად. ეგებ ყველაზე მძიმეც კი ამ 15 წლის განმავლობაში. მთელი ეს სიმძიმე ერთ პატარა ლოგოზე მოდის, რომელიც მაისურას მარცხენა მხარეს, გულთან ექნება ამოქარგული. მეტისმეტი პათეტიკაა? გააჩნია, რა შემთხვევაში და ვგონებ, ახლა სწორედაც რომ დროა.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრები მალტაზე ჩარტერით ვერ გაემგზავრა და ეს არა იმდენად ფეხბურთის ფედერაციის, უფრო ქართული ავიაპარკის სიმწირის ბრალია. ევროპას საბჭოური „ტუ“-ების დანახვა, უფრო ზუსტად, გაგონება არ უნდა, „ბოინგი“ კი საქართველოში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე „სუ 25“ ან სულაც „იროკეზი“.

რაც იყო, იყო. ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე საქართველოს ნაკრები ვენა-მილანის გავლით ჩავიდა და უკან მილანი-ამსტერდამის გამოვლით დაბრუნდა. ჯამში ოთხი ქვეყანა, ათასი ჯურის ათობით ათასი მგზავრით გადავსებული ოთხი აეროპორტი, „ავსტრიის ავიახაზების“, „ეარ მალტას“, „ალიტალიას“, „კა-ელ-ემ“-ის თვითმფრინავები და „პუმას“ შავ-წითელ ფორმაში გამოწყობილი ჩვენი გუნდი გულთან ახლოს პატარა ლოგოთი — GFF.

განსაკუთრებული არც არაფერი: თუ ერთი მეორეს ზედმეტად ხმამაღლა უმტკიცებს მორიგ სისულელეს, თუ მესამე მეოთხეს ხუმრობით ბურთს ესვრის, თუ მეხუთე მეექვსეს ასევე ხუმრობით ლაზათიანად წაუთაქებს... არც ხორხოც-გნიასია კრიმინალი და ევროპასაც თავისუფალი ხალხი უყვარს...

ნება შენია, თუ გინდა, პირდაპირ ასაფრენ ზოლზე გაჭიმე ყირა, როცა და სადაც შენს სამოსს „ლაკოსტა“ ან „ჰუგო ბოსი“ დაღავს. და GFF? აკი ვთქვი — მეტისმეტად მძიმეა ამ ლოგოიანი სამოსი. თანაც, ეტყობა, ტიპიური აზიატი ვარ და, ამსტერდამის აეროპორტში იყო, ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთ წევრს რომ ვთხოვე, ეგებ ვინმემ ამ ბიჭებს შენიშვნა მისცეს-მეთქი. არა უშავს, პატარები არიანო...

აგაშენა ღმერთმა!!!

მეც მანდ არ ვარ?! ამდენი ხანია, გავიძახი, მეტისმეტად პატარები არიან-მეთქი და კონსენსუსამდე მისასვლელად მაინცდამაინც ამსტერდამის აეროპორტი გვჭირდებოდა? პატარაობა ნაკლი და, მით უმეტეს, დანაშაული არ არის. უფრო კოზირია და თანაც დიდ-პატარობა მაინცდამაინც პასპორტში ჩაწერილი დაბადების თარიღით არ იზომება. თავის დროზე 18 წლის ლევან კობიაშვილისგან ამიღია ინტერვიუ და აშკარად არ იყო პატარა. 18 წლის კახა კალაძესთანაც მისაუბრია და არც ის ტოვებდა ღლაპის შთაბეჭდილებას. ცხვირის მაღლა აწევაზე კი არა, ადგილის, დროისა და მდგომარეობის შესაფერისად დადინჯება-დალვინებაზეა ლაპარაკი. ალბათ ამიტომაც არიან დღეს კობი კობი და კალა კალა.

მავანმა იტალიელმა წყვილმა მილან-ამსტერდამის თვითმფრინავში დაადგინა, რომ ეს სიცოცხლით სავსე, ხმაურიანი კომპანია საქართველოს ეროვნული ნაკრები იყო. შეიძლება გაიფიქრეს კიდეც, რომ ეს ხალხი ჩვენთვის, ქართველებისთვის დაახლოებით იგივეს ნიშნავს, რასაც მათთვის ნესტა, ბუფონი, ჯილარდინო... შეიძლება წარმოიდგინეს კიდეც, როგორ იმგზავრებდნენ მათთან ერთი თვითმფრინავით.

მე ვერ წარმოვიდგინე...

მავანმა ქართველმა ქალბატონმა ამსტერდამ-თბილისის რეისზე რეგისტრაციის გავლამდე მიაპყრო მზერა ქართველ ჭაბუკებს და... მორიგი „არც არაფერი“, ხელი ჩაიქნია...

ეს ყველაფერი იმად არ გამიხსენებია, რომ ვისიმე სიცუდეს გავუსვა ხაზი. არც ამ 18-19 წლის ბიჭების ქცევაში იქნებოდა რამე დასაძრახი, რომ არა ის პატარა ლოგო მაისურის მარცხენა მხარეს. 18-19 წელი მეტისმეტად პატარა ასაკია იმის გასააზრებლად, რომ ქვეყნის სახე ხარ და თვითმფრინავში, აეროპორტში, ქუჩაში თუ სტადიონზე ნებისმიერი შემხვედრი შენს ქვეყანას შენთან აიგივებს. თუკი ამას გაისიგრძეგანებ, მერე ეგებ აღარც მოედანზე გაგიჭირდეს საქართველოს სახელით გასვლა. ეგებ იფიქრო მხოლოდ იმაზე, რომ მოედნის მეორე ნახევარზე მდგომი თერთმეტეული ნებისმიერ ფასად გყავს დასამარცხებელი და არა აგენტზე, რომელიც შესაძლოა, სტადიონის რომელიღაც ტრიბუნის რომელიღაც სექტორიდან ადევნებდეს თვალს თამაშს. ეგებ აღარ იოცნებო, ჩემი კლუბი დაიშალოს, რომ აქ გათავისუფლების ფურცელი ავილო და ახალ კლუბში — „პადიომნიო“. 18 წლის ასაკში მეტისმეტად ადრეა ამაზე ფიქრი. თავად ხომ ყველაზე კარგად იცი, რომ ეს ყველაფერი მონაგონი არ არის და მართლაც გაქვს ჩემთან საუბარში ნათქვამი. და რადგან ასე ფიქრობ, პროფესიონალიზმამდე, აუ, კიდევ რამდენი გქონია გასავლელი. ეროვნულ ნაკრებამდეც...

იმ ადამიანმა კი, ჩვენი ბიჭების ქცევა მათი პატარაობით რომ გაამართლა, ისიც მითხრა, რა მოხდა, კასანო სულაც ხულიგანიაო.

ვინაო???

P.S. ერთხელ უკვე იყო მცდელობა, საქართველოს ნაკრები ერთნაირი კოსტიუმებით შემოსილიყო. არ უნდა იყოს ცუდი ვარიანტი...

**გიორგი ნოზაძე**

# აშვეთია პატარა ვაგონში ჩაჯდა



მიხეილ აშვეთია, რომელიც მოსკოვის „ლოკომოტივს“ წინა სეზონის მეორე წრეში „როსტოვში“ ჰყავდა განათხოვრებული, ახლა ისევ მოსკოვში, ოღონდ „ლოკომოტივი 2“-თან ერთად ვარჯიშობს და ჩემპიონატსაც ამ გუნდში დაიწყებს.

აშვეთია „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ ვალერი ფილატოვს ორი დღე თავის მომავალზე კი ესაუბრებოდა, მაგრამ სასურველ კლუბში გადასვლის ვარიანტი რომ აღარ გამოჩნდა, „ლოკომოტივში“ დარჩენა გადაწყვიტა. „ლოკომოტივი 2“-ის საჩემპიონატო განაცხადში კი მიხეილ აშვეთია წუხელ უნდა შეეყვანათ.

ამასობაში მოსკოველთა ძირითადი გუნდი ჩემპიონატისთვის მზადების ბოლო ეტაპზე ისევ ესპანურ შეკრებაზე გაემგზავრა და თან მალხაზ ასათიანი და გიორგი ჭელიძე გაიყოლა.

რუსეთის ჩემპიონატი 18 მარტს იწყება.

**კობა ინასარიძე**





# რუსებმა წიწილები თებერვალში დაგვითვალეს

**რუსულმა** „სპორტ-ექსპრესმა“ თებერვლის ხუთი გამორჩეული ამბავი გამოაქვეყნა და მათგან ორი ქართულ ფეხბურთს ეხება.

რუსი ჟურნალისტების აზრით, თებერვლის მოვლენათა შორის მეოთხე ადგილზე შოთა არველაძის ჰეთ თრიქია — ჩვენებურმა ჰოლანდიის ჩემპიონატში „როზენდაალს“ (5:0) სამი ბურთი გაუტანა და ბომბარდირთა შორისაც დაწინაურდა. საინტერესოა ისიც, რომ შოთამ „როზენდაალი“ პირველ წრეშიც დაიბრიყვა — „ალკმაარმა“ 7:0 მიანგრია მეტოქე და არველაძე მაშინაც ჰეთ თრიქით გამოირჩა.

მეხუთე ადგილზე კი კლაუს ტოპმიოლერის უიღბლო დებიუტია. საქართველოს ნაკრებმა მალტის საერთაშორისო ტურნირზე გერმანელის სადებიუტო მატჩში მოლდოვასთან 1:5 წააგო და თანაც, ორი ფეხბურთელი გაუძევეს — ზურაბ ხიზანიშვილი და მალხაზ ასათიანი.

რუსების თქმით, ტოპმიოლერის კლასი იმაშიც გამოჩნდა, რომ მან მალევე შეძლო გამოუვალი სიტუაციიდან თავის დაძვრენა და ერთი დღის მერე მალტა 2:0 დაამარცხა.

**კახა შალამბერიძე**

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# რონალდომ შავი დღე დაიფიცა

## არსენალი (ინგლისი) – რეალი (ესპანეთი) (1:0)

| | |
|---|---|
| ლემანი, ებუ, კ. ტურე, სენდეროსი, ფლამინი, ლიუნგბერგი, ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი, გლები, ანრი, რეიესი | კასილიასი, სალგადო (ან სისინიო), სერხიო რამოსი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი, გუტი, ზიდანი, რონალდო (ან კასანო), ჟულიო ბაპტისტა (ან რობინიო) |

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *არსენალი:* არავინ; *რეალი:* არავინ



AFP

რონალდოს თურმე გუტი ჩაუწიხლავს

**ლონდონურ** „ჰაიბერიზე" „რეალს" მოერიშედ ყოფნა მოუწევს — პირველ მატჩში ხომ „არსენალმა" ტიერი ანრის ბრწყინვალე გოლით 1:0 მოიგო.

მადრიდელებს რონალდო დაუბრუნდათ — კიჭამ პრიმერაში „ატლეტიკოსთან" მატჩი გამოტოვა (ამბობენ, რომ მაშინ მწვრთნელმა კარომ ბრაზილიელს თანაგუნდელ გუტისთან დაკადაკა არ აპატია რონალდოს მისთვის მუხლში ისე ჩაურტყამს, „რეალის" მოთამაშე ახლაც ფეხგასივებული დადის), თუმცა ესპანური გაზეთები იუწყებიან, რომ ოკეანისგაღმელი „ჰაიბერიზე" აუცილებლად ძირითადში იქნება. ლოპეს კარომ განაცხადში ივან ელგერა და ზიდანიც შეიყვანა. ამათ ტრავმები ბოლომდე არ მორჩენიათ, თუმც კაროს იმედი აქვს, რომ „მეთოფეებთან" ომს მოახერხებენ. მადრიდში დარჩებიან ჯონათან ვუდგეტი და პაბლო გარსია, რომელთა ტრავმებიც ფრიად სერიოზულია.

„შენ „რეალის" გულშემატკივრებს ერთხელაც უნდა დაუმტკიცო, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი ხარ და გუნდის ღირსება შენთვის სულერთი არაა. ბოლო რამდენიმე მატჩია, უცნაურად თამაშობ. გადი „ჰაიბერიზე" და ყველას უჩვენე შენი ძალა" — უთქვამს რონალდოსთვის მწვრთნელს. კიჭასაც (თუ ესპანურ მედიას დავუჯერებთ) ფიცი დაუდვია, რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ, „არსენალს" შავ დღეს დავაწევ და „რეალის" ომშიც მთავარი მე ვიქნებიო...

სავარაუდოდ, ინგლისურ-ესპანურ ტიტანთა ჯახში სტუმართა იტალიელი ფორვარდი ანტონიო კასანო მეორე ტაიმიდან ჩაერთვება. მან იცის, „არსენალთან" გოლის გატანა როგორ უნდა — 2002-03-ის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მაშინ „რომაში" მობურთავემ „მეთოფეებს" ორივე თამაშში თითო გოლი შეუგდო...

„რეალის" ახალგაზრდა მცველ სერხიო რამოსს ტიერი ანრისთან მოუხდება ბრძოლა. ანრიმ, მოგეხსენებათ, „სანტიაგო ბერნაბეუზე" მატჩში მადრიდელები აიკლო, თუმც 20 წლის რამოსს შეშინებულის არაფერი ეტყობა. „არსენალი" ძალიან ძლიერი კლუბია, ხოლო ანრი — ლონდონელთა უმთავრესი იარაღი. მიუხედავად ამისა, თუ „რეალმა" „ჰაიბერიზე" მთელი თავისი ძალა გამოავლინა, ვერც ტიერი ანრი შეძლებს „არსენალის" მეოთხედფინალში გაყვანას" — განაცხადა სერხიო რამოსმა.

არსენ ვენგერმა კი „ჰაიბერის" ზომებზე დაიჩივლა ყასიდად: „ჩვენი მოედანი სტანდარტულზე პატარაა, ამიტომაც „რეალის" ტექნიკურ მოთამაშეებს უპირატესობა ენიჭებათ — ისინი ხომ მცირე სივრცეზე ბურთს ჯადოსნურად აკონტროლებენ".

ვენგერის ნათქვამი ჟურნალისტებს იქამდე უკვირდათ („რეალი" პირიქით, დიდ სივრცეში და უკიდეგანო სტადიონებზე გრძნობს თავს კარგად), სანამ ემანუელ ებუ, „არსენალის" კოტდივუარელი მცველი არ მოიხელთეს და მწვრთნელის ეშმაკობა არ გაამხელინეს. „ვიცი, რომ ჩვენი მოედანი სტანდარტულზე პატარაა, ეს „რეალს" დახუთავს და მატჩის სადავეებს ხელში ჩაგვაგდებინებს" — თქვა მიამიტმა ებუმ. ეტყობა, აფრიკელი მწვრთნელთან არ იყო შეთანხმებული და ვენგერსაც მორიგი ფანდი ჩაუშალა...

**ლადო ხომერიკი**

## ლივერპული (ინგლისი) – ბენფიკა (პორტუგალია) (0:1)

| | |
|---|---|
| რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ჯერარდი, ხაბი ალონსო, ჰამანი, კიუელი, მორიენტესი, კროუჩი | მორეტო, ალსიდესი, ლუიზაო, ანდერსონი, ლეო, პეტიტი, მ. ფერნანდეში, რობერი, სიმაო, მიკოლი, ნუნუ გომეში |

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

დისკვალიფიცირებულნი: *ლივერპული:* არავინ; *ბენფიკა:* ნუნუ ასისი (2 მატჩი)

# ლივერპულს გოლის უკმარისობა ჭირს

## ბენფიკას ადვოკატი დაცვაა

**ექვსი** მატჩია, „ლივერპულს" თუ გააქვს, ერთზე მეტი ვერა. არადა, დღეს დიდი შანსია, მერსისაიდელებს სამი გოლიც დასჭირდეთ, რათა მეოთხედფინალში მოხვდნენ. „ენფილდის" ბინადართა შემტევ ნახევარმცველებზე და მათ კაპიტან სტივენ ჯერარდზე რომ არაფერი ვთქვათ, გუნდს ჰყავს ისეთი თავდამსხმელები, პიტერ კროუჩი, ფერნანდო მორიენტესი, რობი ფაულერი და ჯიბრილ სისე რომ არიან. თუმცა მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ამ ფორვარდებიდან წლეულს მხოლოდ ერთმა, პიტერ კრაუჩმა შეძლო გოლის გატანა და ისიც მხოლოდ ერთხელ. თუმცა რაფაელ ბენიტესს თავისი გუნდის ბოლომდე სჯერა, ბოლოდროინდელ გოლების უკმარობას უიღბლობას აბრალებს და ყველასთვის ცნობილი ქომაგების, „სკუზერების" იმედი აქვს, რომლებიც დღესაც ჩვეულად, მხურვალედ უგულშემატკივრებენ საკუთარ გუნდს.

„ძალიან ბევრ მომენტს ვქმნით და ვფიქრობ, დღეს მათ გამოვიყენებთ კიდეც. თუ გვჭირდება ორი ან თუნდაც სამი გოლი, რატომაც არა?! თავდამსხმელებს უიღბლობა დასჩემდათ, მაგრამ არ შეიძლება, ბედმა სულ გაქციოს ზურგი. ასეა თუ ისე, მეც და ბიჭებიც დარწმუნებულნი ვართ, რომ „ბენფიკასთან" გავიტანთ და იმედია, არაერთხელ." — აღნიშნა ბენიტესმა.

პრემიერლიგის ბოლო მატჩში, „ჩარლტონთან", არ უთამაშია „ლივერპულის" ერთ-ერთ ლიდერს, ლუის გარსიას. ბენიტესის თქმით, იგი ახალ ტაქტიკას ცდიდა და ესპანელი ამიტომ არ ათამაშა. ამჯერად ლუის გარსია მინდორზე იქნება. წინასწარი ინფორმაციით, პორტუგალიელთა კარს კროუჩი-მორიენტესის წყვილი შეუტევს. მცირე ტრავმები აწუხებთ გამოცდილ მცველებს — სამი ჰიიპიას და სტივ ფინანს, მაგრამ ექიმები ირწმუნებიან, მათ მწყობრში ჩავაყენებთო.

ცხადია, ვერ ითამაშებს პირველ მატჩში სერიოზულად დაშავებული მოჰამედ სისოკო, რომელიც ცალი თვალით დაბრმავებას ბეწვზე გადაურჩა.

„ბენფიკას" ბანაკში კი, რა თქმა უნდა, საბრძოლო განწყობაა, მაგრამ პორტუგალიელები არ მალავენ, რომ აქცენტს დაცვაზე გააკეთებენ. მათ დაუბრუნდათ იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო მიკოლი, რომელმაც ტრავმა ახლახან მოიშუშა და გასულ უქმეებზე „ამადორას" გოლიც გაუტანა.

„ბენფიკას" ფრანგი ნახევარმცველი ლორან რობერი: „ჩვენი მთავარი ამოცანა კარის მშრალად შენახვაა. თუ გატანას მოვახერხებთ, მით უკეთესი, მაგრამ მთავარია, კარგად დავიცვათ თავი".

„ცხადია, ძალიან ძნელი მატჩი გველის, მაგრამ ხშირად გრანდებთან უკეთ ვთამაშობთ, ვიდრე სხვა კლუბებთან. ჩვენთვის მეტოქის სახელს მნიშვნელობა არ აქვს. მინდა, რომ კარგი ფეხბურთი ვითამაშოთ და ასეც იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში დაცვაში ჩადგომას მოვერიდებით" — თქვა ლისაბონელთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა.



AFP

რაფაელ ბენიტესი ბედ-იღბალს უჩივის

**გიორგი ქაქაბაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილანი (იტალია) – ბაიერნი (გერმანია) (1:1)

| მილანი | ბაიერნი |
|---|---|
| დიდა, სტამი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო, ფოგელი, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ჯილარდინო (ან ინძაგი) | კანი, სანიოლი, ლუსიო, ისმაელი, ლამი, დაისლერი, დემიკელისი, ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი, პიზარო |

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

დისკვალიფიცირებულნი: *მილანი:* ჯენარო გატუზო (1 მატჩი); *ბაიერნი:* არავინ

# იტალიურ შემოსავალს მოგებაღა აკლია

**ორი კვირის** წინანდელმა მიუნხენურმა 1:1-მა მილანელთა საშეოთხედფინალო შანსები კი გაზარდა, მაგრამ ასე არ ფიქრობს ბავარიელთა კარის დარაჯი ოლივერ კანი. გეხსომებათ, 36 წლის კაპიტანმა პირველი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, თეძოს იტკივებდა, თუმც ახლა სრულ მზადყოფნაშია და იმაშიც დარწმუნებულია, რომ შემდეგ ეტაპზე „ბაიერნი" გავა: „დიახ, მე მჯერა, რომ „მილანს" გავაგდებთ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს უძნელესი საქმე იქნება".

„მილანი" კარგ ხასიათზეა, რადგან სერია A-ს ბოლო ტურში „ემპოლი" 3:0 გაანადგურა, აი, „ბაიერნმა" კი ბუნდესლიგის ბოლო ტურის მატჩი „ჰამბურგთან" 1:2 წააგო, თანაც შინ, „ალიანს არენაზე", რაც ამ სეზონში არ მომხდარიყო: „მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, მერწმუნეთ, გუნდში მაინც ჩინებული ატმოსფეროა, ბიჭები საბრძოლველად არიან შემართულნი და „სან სიროზე" მასპინძლებს არაფერს დავუთმობთ" — ამბობს ფელიქს მაგათი, მიუნხენელთა მწვრთნელი. მაგრამ მაგათს საწუხარი მაინც აქვს: „ჰამბურგთან" მატჩში დაშავდა ირანელი ლეგიონერი ალი ქარიმი, რომელიც, სულ ცოტა, ორი თვით გამოვიდა მწყობრიდან, ფრანგ მცველ ბიქსენტ ლიზარაზუს კუნთი სტკივა, ხოლო პერუელ ხოსე პაოლო გერეროს გრიპი შეჰყრია. „ექიმების საბოლოო ვერდიქტს ველოდები, თუ ლიზარაზუ და გერერო საღამომდე ვერ გამოჯანმრთელდნენ, მაშინ მათ ფილიპ ლამი და როი მაკაი შეცვლიან" — დასძენს მაგათი.

მწვრთნელმა მაკაი ახსენა და ვთქვათ, ისიც, რომ ჰოლანდიელს აგერ უკვე რა ხანია, გოლი არ გაუტანია, ფორმაში არაა, მაგრამ... „მილანში ბურთი აუცილებლად უნდა გავიტანოთ, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეტევაში თავქუდმოგლეჯილნი წავალთ. მჯერა, შანსი მეც მექნება და ვეცდები, დანავსული სერია შევწყვიტო" — ამბობს როი.

მასპინძლები კი, უკვე ვთქვით, კარგ ხასიათზე არიან, შაბათს „ემპოლის" გადაურბინეს, მაგრამ სერია A-ს ერთ-ერთი აუტსაიდერი ერთია და, გერმანული ფეხბურთის ფლაგმანი მეორე. ეს კარგად იცის კარლო ანჩელოტიმაც, რომელსაც მაგათის დარად საფიქრალი არ აკლია, თუმცა გერმანელი კოლეგისგან განსხვავებით, იტალიელი ტაქტიკოსი არჩევანის წინაშე უფრო დგას — ვინ შეუწყვილოს თავდასხმაში ანდრეი შევჩენკოს, ბოლო ხანს გოლის გოლზე გამტანი და ამჟამად ჩინებულ ფორმაში მყოფი 32 წლის ფილიპო ინძაგი თუ 24 წლის ალბერტო ჯილარდინო, ვინაც წლეულს ძირითადის კაცად ითვლება?

„ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა ისაა, გამოვიცნო, რომელი უფრო იქნება სასარგებლო. ინძაგის ასეთ თამაშებში უზარმაზარი გამოცდილება აქვს და მისთვის გახურებულ თამაშში ჩართვა პრობლემას არ წარმოადგენს" — ამბობს ანჩელოტი და ალბათ მიანიშნებს იმაზე, რომ სასტარტოში ჯილარდინო იქნება.

ხოლო მწვრთნელს რაც გარკვეული აქვს, ისაა, რომ დისკვალიფიცირებულ ჯენარო გატუზოს შვეიცარიელი იოჰან ფოგელი შეცვლის, კარში ისევ ნელსონ დიდა ჩადგება, რომელიც უკვე საბოლოოდ მომჯობინდა, დაცვის ხაზში კი მარჯვნიდან მარცხნივ სტამ-ნესტა-კალაძე-სერჟინიოს ოთხეული დადგება.

მოკლედ, დღეს დიდი მატჩი იქნება „სან სიროზე" და ვიდრე ამ ბობოლათა ურთიერთშეხვედრების მცირე სტატისტიკასაც გაეცნობოდეთ, იმაზე ვთქვათ, რასაც იტალიელი ჟურნალისტები გვატყობინებენ — ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე სეზონური აბონემენტები არ იყიდება და „მილანის" ქომაგებმაც სრულიად იტალიის რეკორდი დაამყარეს, უკვე გაყიდულია 80 476 ბილეთი, რამაც კლუბის სალარო 2 მილიონ 277 ათასი ევროთი შეავსოო...

„მილანი" და „ბაიერნი" აქამდე შვიდჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მათი „ნაცნობობა" კი პირველად შორეულ 1968 წელს შედგა თასების თასის ნახევარფინალში. უპირატესობა და თანაც საგრძნობი ჯერჯერობით იტალიელებს აქვთ, მათ ოთხ მატჩში იმარჯვეს, ერთში დამარცხდნენ, ორიც კიდევ ფრედ დასრულდა...

**გიორგი ვაშაკიძე**




ზეედორფი და ბალაკი დღესაც არაერთხელ შეეხლებიან

AFP

## ლიონი (საფრანგეთი) – პსვ (ჰოლანდია) (1:0)

| ლიონი | პსვ |
|---|---|
| კუპე, კლერკი, კრისი, მიულერი, აბიდალი, ტიაგუ, მ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ვილტორდი, ფრედი | გომესი, ლუსიუსი, ე. ადო, ალექსი, რაიციგერი, აფელაი, კოკუ, სიმონსი, კულინა, ფანფანი, არუნა კონე (ან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი) |

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

დისკვალიფიცირებულნი: *ლიონი:* სიდნეი გოვუ (1 მატჩი); *პსვ ეინდჰოვენი:* არავინ

# პსვ ლიონში დამოკლდება

## ოლამ ჟუნინიოს შვილი დაიბევა

„**შენი** შვილი აუცილებლად „ლიონში" მოიყვანე" — უთქვამს კლუბის პრეზიდენტ ჟან მიშელ ოლას ჟუნინიოსთვის. 31 წლის ბრაზილიელი დღეს „ლიონის" მთავარი კაცია და პსვ-სთანაც მწვრთნელს მისი ეიმედება. ბოლო ოთხ მატჩში ოთხი გოლი გაიტანა, მათ შორის ერთი — „აიაჩოსთან" — 40 მეტრიდან, რამაც ოლა გადარია. ჟუნინიოს კი მიაჩნია, რომ კარიერაში ეს საუკეთესო გოლია. „ლიონის" მაისურით სულ 62 გაუტანა, უმეტესობა — საფირმო საჯარიმო დარტყმით და სწორედ მისი გოლით მოიგეს ორი კვირის წინ ეინდჰოვენში. თუ პსვ ჩამოიცილეს, ზედიზედ მესამედ გავლენ მეოთხედფინალში.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ეინდჰოვენურ შეხვედრაში ფრანგებს სიდნეი გოვუ გაუძევეს, რომელიც დღევანდელ მატჩს გამოტოვებს.

„ლიონის" მწვრთნელ ჟერარ ულიეს მიაჩნია, რომ დღესაც, ისევე როგორც ორი კვირის წინ, მეტწილად ბრძოლა და უხეშობა იქნება.

„წინასწარ დამშვიდება არ ივარგებს — თქვა ულიემ — სტუმრად მოვიგეთ, მაგრამ ეს მცირე უპირატესობაა. ამიტომ სრული მობილიზება გვმართებს".

ლიონელებს ჟერემი ბერტოდი, კლაუდიო კასაპა და ანტონი რევეიერი დააკლდებათ. ფორვარდ იონ კარეუს თამაში საეჭვოა, ხოლო ჟუნინიოს ნახევარდაცვაში პორტუგალიელი ტიაგუ შეეშველება. რაკი სიდნეი გოვუ დისკვალიფიცირებულია, კარეუ კი ჯანზე ვერაა, შეტევაში სილვენ ვილტორდი და ბრაზილიელი ფრედი ითამაშებენ.

რაც შეეხება პსვ-ს, ჩემპიონატში კვლავაც ლიდერობს და გასულ უქმეებზე „ჰერენვენი" 4:1 დაამარცხა. ამ მატჩში დაშავდა მიხაელ რაიციგერი, რომელიც სეხნია ლამეიმ შეცვალა და მოგვიანებით ტრავმის გამო ისიც შესაცვლელი გახდა. რაიციგერი გამოკეთდა და დღეს შეიძლება ითამაშოს. მცველებიდან დაშავებულია ანდრე ოოიერიც და მას ალბათ თიკო ლუსიუსი შეცვლის, ხოლო ცენტრში ახმახ ბრაზილიელ ალექსს ერიკ ადო დაუხმარება.

გუს ჰიდინკის გუნდის ყველაზე დიდი დანაკლისია იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი. აყლაყუდა ფორვარდს მუხლი სტკივა და „ლიონთან" მატჩს ალბათ გამოტოვებს. ვენეგოორ ოფ ჰესელინკის დევნა თუ არ მოუწევთ, ეს ლიონელი მცველებისთვის შვებაა, რადგან ეინდჰოვენურ შეხვედრაში „გრძელმა" მეტოქის მცველები დაჩაგრა.

**ვაჟა ხუციშვილი**



AFP

„ლიონი" პსვ-ს ჟუნინიოთი ემუქრება

### ფეხბურთის რუკასთან

**იტალიური** „იუვენტუსი“ კვლავ მარჯვენა მცველის ძიებაშია. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში ტურინელები ჯონათან ძებინას გაყიდიან და ამ პოზიციაზე არავინ დარჩება. მიუნხენის „ბაიერნის“ მცველ ვილი სანიოლის ტრანსფერი ჩაიშალა და „ბებერი ქალბატონი“ „სევილიას“ ახალგაზრდა ფეხბურთელ დანიელ ალვეშს მიადგა. ამბობენ, იტალიელები ესპანელებს პერსპექტიულ მოთამაშეში 6-7 მილიონ ევროს შესთავაზებენო.

**ინგლისურ** „არსენალს“ კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელის, ნაიმეგენელი ნასერ ბარაზიტეს ხელში ჩაგდება უნდა. 15 წლის მოთამაშით ლონდონელთა საფეხბურთო აკადემიის შეფი ლაიამ ბრეიდი დაინტერესდა. „მეთოფეების“ წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ ჰოლანდიურ „ნაიმეგენს“ და ალბათ, კონტრაქტსაც შესთავაზებენ.

**რუსეთის** ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველი ალექსეი სმერტინი სამშობლოში ბრუნდება. იგი მოსკოვში ჩავა და „დინამოსთან“ კონტრაქტს გააფორმებს — ძალიან გამიხარდება, თუ „დინამოში“ გადავალ და ისეთ მწვრთნელთან ერთად ვიმუშავებ, როგორიც იური სიომინია, თანაც იქ ბევრი ჩემი ნაცნობი თამაშობს და გუნდს გარკვეული ამბიციაც აქვს — თქვა სმერტინმა.

**იტალიური** „რომა“ ტრავმებმა დატანჯა. „გლადიატორთა“ თავდამსხმელ ვინჩენცო მონტელას ისევ ზურგი სტკივა, ხოლო გუნდის გოლკიპერმა დონიმ ბეჭი დაიშავა. ორივე მათგანი „მიდლსბროსთან“ უეფას თასის მატჩს გამოტოვებს და დიდი შანსია, მათ ვერც საპასუხო შეხვედრამდე მოასწრონ გამოკეთება. შეგახსენებთ, რომ ლაზარეთში არიან ფრანჩესკო ტოტი და შაბანი ნონდაც.

**ტუნისის** ნაკრების კაპიტანი და ამსტერდამის „აიაქსის“ მცველი ჰატემ ტრაბელსი მომავალი სეზონიდან კარიერას ალბათ ლონდონის „ტოტენჰემში“ გააგრძელებს. 29 წლის ფეხბურთელმა უკვე განაცხადა, რომ ჰოლანდიური კლუბიდან წავა და მისით მყისვე რამდენიმე გრანდი დაინტერესდა, მათ შორის „მილანი“ და „იუვენტუსი“, თუმც „ტოტენჰემმა“ ტრაბელსი დაიბევა.

**ესპანურ** „ბეტისს“ სულ ცოტა, ორი თვით დააკლდება გამოცდილი ურუგვაელი მცველი ალესანდრო ლემბო. ფეხბურთელს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და კოჭის ძვალი გაუტყდა. დაახლოებით სამი კვირა მას ფეხი თაბაშირში ექნება, მოგვიანებით კი ექიმები უფრო ზუსტად იტყვიან, რამდენ ხანს გასტანს სარეაბილიტაციო პერიოდი.

# აი, გლენი!



**იცით** თუ არა, რომ „ჩელსის“ მცველი გლენ ჯონსონი „ბარსელონასთან“ წუხანდელ მატჩს ტელევიზიით ადევნებდა თვალს?

რატომ? იმიტომ, რომ კვირას, ლონდონელთა კატალონიაში გამგზავრების დღეს, ჯონსონმა პასპორტი დაკარგა და გუნდის შეფებმა „ჰეტვიკის“ აეროპორტისკენ აღარ წაიყვანეს, წადი პასპორტი იპოვნე და სხვა რეისით დაგვეწიეო. ვაგლახ, არც ეს გამოვიდა. შინ მიბრუნებულმა ფეხბურთელმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერსად იპოვა.

ასე და ამგვარად, „კამპ ნოუს“ ნაცვლად ჯონსონი „ჩელსის“ სარეზერვო გუნდში აღმოჩნდა და ოლდერშოთში „ქოვენთრის“ რეზერვისტების წინააღმდეგ ღვარა ოფლი.

სხვათაშორის, საინტერესოა, რომ 21 წლის ყოფილი ვესტ ჰემელი რამდენიმე თვის წინ ექიმთან გახლდათ — კედლისთვის მუშტი დაურტყამს და მაჯა სტკიოდა, სეზონის დასაწყისში კი ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრების ბანაკიდან დაუთხოვიათ, ხალხთან ურთიერთობაში ეშლებაო.

**პაპუნა ქედია**

# კამერა კამერა-აბალოჩკის წინააღმდეგ
## ფეხბურთის წესებში ცვლილებებია



**მარტო** მსაჯები და ფეხბურთელები კი არა, ახალი წესებისთვის, სჯობს, მაყურებლებიც მოვემზადოთ, თორემ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტაღა დარჩა. კერძოდ, აქედანვე უნდა ვიცოდეთ, რომ 9 ივნისიდან 9 ივლისამდე ანუ მუნდიალის დღეებში და, ბუნებრივია, ამის შემდგომ, ყოველდღიურ საფეხბურთო ცხოვრებაშიც, იდაყვის კვრა, ეგრეთ წოდებული სახიფათო თამაში და წინასწარგანზრახული ჯარიმა წინასწარი გაფრთხილების გარეშე, პირდაპირ წითელი ბარათით დაისჯება, ხოლო მეტოქის მაისურაზე, ტანსა და ხელზე დაქაჩვა გაყვითლდება. ყვითელი ბარათით შეფასდება სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებაც.

„მსოფლიოს ჩემპიონატი ახალი წესების სადემონსტრაციოდ საუცხოო ადგილია, რადგან გერმანიის სტადიონებზე გასამართ 64 შეხვედრას მთელ დედამიწაზე ნახავენ — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა — ერთი თვის განმავლობაში ფეხბურთის უდიდესი ვარსკვლავები მილიონობით მოთამაშეს მაგალითს აჩვენებენ“.

მოგეხსენებათ, ფეხბურთის წესებს რაიმე რომ დაემატოს, გამოაკლდეს ან ამ წესთაგან რაიმე შეიცვალოს, საჭიროა, შესაბამისი დადგენილება მიიღოს ორგანიზაციამ, რომელსაც IFAB ჰქვია. ამ ორგანიზაციის წევრები გახლავან ინგლისის, შოტლანდიის, უელსის და ჩრდილო ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციები — მათთან ერთად, ბუნებრივია, ფიფაც — რაც იმას ნიშნავს, რომ წესების შეცვლის პატივი სპორტის ამ სახეობის გამომგონებლებს, ბრიტანელებს აქვთ და მეტი არავის. დანარჩენებს შეუძლიათ, IFAB-ში თავიანთი მოსაზრებები შეიტანონ და ვერდიქტს მოთმინებით დაელოდონ.

ამის კარგი მაგალითი იტალიის ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ფრანკო კარარო გახლავან. მოგეხსენებათ, რა ამბავია ატეხილი საჭირბოროტო საკითხზე, „გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი“. უკვე წლებია, ამ პრობლემის მოგვარების ხერხებზე ფიქრობენ. მოფიქრებულ ხერხთაგან ყველაზე პოპულარული ბურთში ჩიპის ჩამონტაჟების და კარის ძელებზე გადამცემის დამონტაჟების იდეა ჩანს, რასაც ზოგადად კარის ხაზის ტექნოლოგია ეწოდა, მაგრამ იტალიელებმა ზემოხსენებულ IFAB-ს და, შესაბამისად, მთელ მსოფლიოს ახალი ვარიანტიც შესთავაზეს: კარის ხაზის გასწვრივ წამში მრავალი კადრის დამჭერი კამერის დაყენება.

და რა თქვა ამაზე IFAB-მ? წესთა შემცვლელი ორგანიზაციის პასუხი ასეთი გახლდათ — იდეა კარგია, ოღონდ ორი პირობით: კამერა უნდა გამოიყენონ მხოლოდ გოლი იყო-არ იყოს გასარკვევად და მან მსაჯს პასუხი წამებში უნდა გასცეს.

და კიდევ, IFAB-მა მოიწონა უეფას ექსპერიმენტი მსაჯთა მიკროფონ-ყურსასმენებით დაკავშირებით. ეს რა არის? ჩართეთ ამ საღამოს ჩემპიონთა ლიგა და ნახავთ, როგორ ელაპარაკება მსაჯი თანამსაჯებს.

**პაპუნა ქედია**

# გულო ჩადექ საგულესა
## ფიფას ისტორიული შიში

**„სარბიელის“** მკითხველს მოეხსენება, რომ დიუსელდორფში მსოფლიოჩემპიონატისწინა ვორკშოპი მიმდინარეობს, რომელშიც ოცდათორმეტივე ფინალისტი ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობს. ვორკშოპზე განიხილავენ როგორც უშუალოდ საფეხბურთო, ასევე სხვა საორგანიზაციო საკითხებს, რომელთა შორის ყურადღება ასეთმა სიახლემ მიიპყრო: გადაწყდა, რომ მუნდიალის მონაწილე ყველა ფეხბურთელი საფუძვლიან კარდიოლოგიურ შემოწმებას გაივლის. მიზეზი ნათელია, მთელ მსოფლიოს მწარედ ახსოვს 2003 წლის კონფედერაციათა თასის ნახევარფინალის მსვლელობისას 28 წლის კამერუნელი მარკ ვივიენ ფოეს გარდაცვალების ამბავი. ფოეს კოლუმბიელებთან შეხვედრაში გულმა უმტყუნა.

თუმცა მთავარი სიახლე კიდევ წინ არის — მსოფლიოს ჩემპიონატის თორმეტივე სტადიონზე სამედიცინო პერსონალი აღჭურვილი იქნება დეფიბრილატორით, რაც გაჩერებული გულის გამომცოცხლებელი მოწყობილობა გახლავთ.



2003 წელი. კოლუმბია — კამერუნი. მარკ ვივიენ ფოე მოედანზე გარდაიცვალა

AFP

„ეს უდიდესი სიახლეა. ჩვენ ვამაყობთ, რომ სპორტულ ორგანიზაციათაგან პირველი ვართ, რომელიც ასეთ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს დგამს. ამასთან, გვინდა, ამ ნაბიჯით მაგალითი მივცეთ მთელ სპორტულ მსოფლიოს“ — განაცხადა ფიფას შეფ-მედიკოსმა ირჟი დოვაკმა.

დოვაკმა აგრეთვე ბრძანა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა ნაკრებმა ხელი მოაწერა დოპინგის საწინააღმდეგო დოკუმენტს. გადაწყდა, რომ ერთთვიანი შეჯიბრების მსვლელობისას თითოეული გუნდიდან ამოირჩევა ნებისმიერი ოთხი მოთამაშე, რომელთაც ტესტი ჩაუტარდებათ. ნაკრებთა ექიმებს ფიფასთვის აგრეთვე აღუთქვამთ, რომ თავიანთ მოთამაშეებს აპრილსა და მაისში დანიშნული ამხანაგური მატჩების დროსაც შეამოწმებენ.

**პაპუნა ქედია**

# ბურთი ძმაა ჩემი

## შვილი, რომელმაც მამის ოცნება დახრჩობას გადაარჩინა





**ბრაზილიელი ჟურნალისტი ლეონარდო ოლივეირა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს, რონალდინიოს ბავშვობიდან იცნობს. დიდსაფეხბურთო ლეგენდამ პროფესიულ სპორტში ფეხი სეუ ლეონარდოს თვალწინ აიდგა. უინტერესო არ უნდა იყოს მისეული მონათხრობი, როგორ განვლო კიჭამ გზა პორტუ-ალეგრეს ლატაკთა უბნიდან კატალონიურ „ბარსელონამდე“. ყველაფერი კი ბრაზილიურ „გრემიოში“ დაიწყო, როცა რონალდინიო 6 წლის გახლდათ, ხოლო პერსპექტიულ ფეხბურთელად არა რონის, არამედ მის უფროს ძმას, რობერტოს თვლიდნენ...**

### გრემიოს ტყვეობიდან პარიზულ თავისუფლებამდე

2001 წლის დამდეგს, როცა 19 წლის რონალდინიოს „გრემიოსთან“ კონტრაქტი უმთავრდებოდა, ბრაზილიაში ძალაში შევიდა ბოსმანის კანონი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საკონტრაქტო ვადის დასრულების შემდეგ ფეხბურთელებს კლუბებთან არანაირი ვალდებულება აღარ აკავშირებდათ. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ რონალდინიო პროფესიონალებში გადავიდოდა, „გრემიომ“ კიჭასთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 18 წლისა მომავალი მსოფლიოს საუკეთესო მობურთალი თვეში 9 000 დოლარს იღებდა, ცხრამეტისა 12 500-ს, ხოლო როცა ოცის გახდა, უკვე 16 000-ს უხდიდნენ. ფეხბურთის ვარსკვლავისთვის ეს ანაზღაურება სასაცილოდ ჩანს, ოღონდ მაშინ ჯერაც ბიჭუნასთვის 16 ათასი მთელი სიმდიდრე იყო...

რონალდინიოსა და მის ძმას, რობერტო და ასის მორეირას (რომელიც თავიდანვე რონის საფეხბურთო აგენტი გახლდათ) ხელფასის შესახებ სახალხოდ არასოდეს დაუჩივლიათ, თუმცა ოჯახში „გრემიოსთან“ დაშორების გეგმებსაც არ მალავდნენ. ხშირი იყო მაშინ დაახლოებით ამის მსგავსი განცხადებები: „2001 წლის თებერვალში, როცა „გრემიოსთან“ კონტრაქტი დამთავრდება, რონალდინიო კლუბიდან თავისუფლად წავა და „გრემიოც“ ვერაფერს მიიღებს“.

იმ პერიოდში „გრემიოს“ პრეზიდენტი ჟოზე ალბერტუ გერეირა ასეთ მოარულ ხმებს ყურადღებას ნაკლებად აქცევდა. მავანმა ბრაზილიურმა გაზეთმა პრეზიდენტის ნათქვამი გამოაქვეყნა: „იურიდიულად რონალდინიოს წასვლა შეუძლებელია. ფეხბურთელთან კონტრაქტი ბოსმანის კანონის შემოღებამდე გავახანგრძლივეთ, ასე რომ, რონალდინიოზე უფლებები მთლიანად კლუბს ეკუთვნის“ — ამბობდა სეუ ჟოზე ალბერტუ. სატრანსფერო ბომბი კი გერეირას კლუბს 2001-ის იანვარში დაატყდა თავს. „გრემიო“ — „კურიტიბას“ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე რონალდინიოს ფრანგულ პსჟ-სთან წინასწარი შეთანხმების ამბავი გახდა ცნობილი.

„გრემიოს“ თავკაცები ცდილობდნენ, მღელვარება მოეთოკათ. რონალდინიომ „კურიტიბასთან“ ითამაშა, პენალტიც შეაგდო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ბიჭი ფიქრით უკვე შორეულ საფრანგეთში იყო. „გრემიოს“ შემადგენლობაში ბოლო მატჩი რონიმ „ფიგეირენსესთან“ ჩაატარა და ოღესლაც მასზე შეყვარებული ფანებისგან დიდი ზიზღი იგრძნო — გულშემატკივრები მობურთალს კლუბის ღალატში ადანაშაულებდნენ... სანამ ძმა რობერტო და ადვოკატები კონტრაქტთან დაკავშირებულ პრობლემებს აგვარებდნენ (რონალდინიოს და „გრემიოს“ სასამართლო პროცესი რიუ გრანდე დუ სურის შტატის ისტორიაში ყველაზე გახმაურებულ საქმედ ითვლება), კიჭა მუდმივად ფორმაში სამყოფად აქტიურად ვარჯიშობდა ბიძაშვილ ვალდომიროსთან ერთად.

მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი არასაფეხბურთო პრობლემებმაც შეაწუხა. პირველად რონი ყალბი მართვის მოწმობებთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვა. ფეხბურთელმა მართვის მოწმობა მეზობელ შტატში, სანტა-კატარინაში იყიდა, პოლიციამ კი გაყალბებული დოკუმენტი აღმოაჩინა და რონალდინიოც მოწმის რანგში სასამართლოში დაიბარეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ბრაზილიის პოლიციამ კინაღამ დააპატიმრა „ბანდიტი“ სახელად რონალდინიო. ცელქმა კიჭამ მავან თანატოლს ხუმრობით ფორთოხალი ესროლა. იგი ველოსიპედიდან ჩამოვარდა და გვარიანად დაშავდა. ბიჭის მშობლებმა რონალდინიოს უჩივლეს და პსჟ-სთვის გამზადებულ მოიერიშეს „ფორთოხლის საქმეზე“ მოუწია სასამართლოში ხეტიალმა...

იმ დღეებში ბრაზილიელის სახეზე განთქმულ ჯადოსნურ ღიმილს ვერ შენიშნავდით. ანდა, რა ჰქონდათ სამხიარულო — რონის დედას „გრემიოს“ ფანები ურეკავდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ, ერთხელ კი ბაზარში წასული დონია მიგელინა მავანმა გულშემატკივარმა გვარიანად გამოლანძღა... და ასისების სახლზე თავდასხმები გახშირდა, ამიტომაც იძულებულები გახდნენ, დაცვა აეყვანათ. მთელი ოჯახი საშინლად დაძაბული იყო. ერთ დროს ფანების სათაყვანო ფეხბურთელი წესიერად ქუჩაში გამოსვლას ვერ ახერხებდა. რობერტომ ძმის მშობლიური ქალაქიდან, პორტუ-ალეგრიდან წაყვანის გადაწყვეტილება მიიღო და რონალდინიომაც „ბანგუში“ (რიოს ნაკლებად ცნობილი კლუბი) დაიწყო ვარჯიში.

„პარი სენ ჟერმენში“ კი სასამართლო გარჩევების შედეგს მოუთმენლად ელოდნენ. „გრემიოს“ ადვოკატებმა ფიფასაც მიმართეს პროცესის მოსაგებად, თუმცა ჟოზე ალბერტუ გერეირას ხალხის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. ზოგიერთი გაზეთის ცნობით, რობერტო და ასისმა ძმის თავისუფლება იყიდა — რონალდინიოს პარიზში გაშვების სანაცვლოდ დაპირისპირებულ მხარეს 10 მილიონი დოლარი გადაუხადეს.

ბიჭი საფრანგეთში გაზაფხულზე ჩავიდა. მაშინ სასამართლო ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, თუმც რობერტომ ჩათვალა, რომ პსჟ-ში ვარჯიშის დაწყება კიჭასთვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო. „გრემიოსთვის“ საუბედუროდ, სასამართლომ რონალდინიოს თამაშის უფლება მისცა, მაგრამ რადგან სატრანსფერო ფანჯარა საფრანგეთში უკვე დახურილიყო, ბრაზილიელის ფრანგული კარიერა კიდევ ნახევარი წლით გადაიდო... რონის სახეზე ბედნიერი ღიმილი კვლავ დაუბრუნდა, ისევ საყვარელ საქმეს, ფეხბურთს მისდევდა და მისი მიზანი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში იაპონია-კორეის მუნდიალზე მოხვედრა იყო. ბრაზილიელთა მწვრთნელმა სკოლარიმ თავის დროზე რონალდინიო ნაკრების სიიდან ამოიღო და მხოლოდ მაშინ გაიხსენა, ცელქი ბიჭუნა, როცა აქტიურ ფეხბურთელობას — წვრთნას, მატჩებს და მუდმივ საფეხბურთო ორომტრიალს დაუბრუნდა. პსჟ-ში ადაპტირების შემდეგ რონალდინიოს სახალისო მისია დაეკისრა — ჯადოსნური ბურთაობით ფრანგი ფანები უნდა მოეხიბლა და რაც შეიძლება, მეტი ჯილდო მოეგო. იმ წლების „პარკ დე პრენსის“ განთქმული არენა ოდენ ერთი საფეხბურთო უფლისწულის ციხესიმაგრე გახდა.

### ოქროს ბიჭუნა

იმ დროს, როდესაც „გრემიოს“ გულშემატკივრები ჯერ კიდევ რონალდინიოს უფროსი ძმის ოსტატობით იყვნენ მოხიბლული, ბიჭების მამა ჟოაო და ასის მორეირა ეშმაკური ღიმილით ამბობდა: „რობერტო მართლაც ძლიერია, თუმცა ნამდვილ საოცრებას ჩემთან სახლში ვმალავ. ეს ჩემი უმცროსი შვილია“. რონალდინიო უმცროსი მართლაც დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა და მსოფლიოსაც მალე მოუწევდა მისი ჯადოსნობით აღფრთოვანება. ბავშვობიდანვე ბურთი გახლდათ რონალდინიოს ერთადერთი მეგობარი, რომელსაც არასდროს არ იშორებდა. ბურთის შემწეობით და ღვთით ბოძებული საფეხბურთო ნიჭით მოახერხა რონის ოჯახმა სილატაკისგან თავის დაღწევა. მათი ცხოვრება 1986 წელს შეიცვალა, იმ დროს, როცა ცხადი გახდა, რომ ჟოაო მორეირას ავტოსადგომის მუშის მათხოვრული ხელფასით (დაახლოებით 100 დოლარი) ოჯახის შენახვა არ შეეძლო. თან ოჯახი არცთუ პატარა იყო — თავად ჟოაო, მისი მეუღლე მიგელინა, უფროსი შვილი რობერტო, ქალიშვილი დეიზი და 6 წლის რონალდინიო. ჟოაოს ავტოსადგომზე მანქანების პატრონებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და ამ სენიორებმაც ღატაკ კაცს უფროსი შვილი „გრემიოს“ საფეხბურთო სკოლაში მოაწყობინეს. რობერტოსაც შანსი ხელიდან არ გაუშვია და სკოლის ბიჭებში პირველფეხბურთელობა მალე მოიგდო ხელში. მალე ერთმა იტალიელმა აგენტმა შენიშნა 16 წლის უცნობი მობურთალი. მცირე ხანში რონალდინიოს ძმა პორტუ-ალეგრეს ტოვებს და ბედის საცდელად შორეულ იტალიაში, ტურინში მიემგზავრება. როცა „გრემიოს“ თავკაცები გონს მოეგნენ, რობერტო „ტორინოსთვის“ უკვე შინაური კაცი გამხდარიყო. განთქმულმა ავსტრიელმა ტონი პოლსტერმა, „ტორინოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა და კლუბის კერპმა, უფროსობას ურჩია, რობერტო დაუყოვნებლივ შეეძინათ. ამასობაში აპენინებზე „გრემიოს“ აგენტები ჩავიდნენ და უფროსი და ასისი სასწრაფოდ სამშობლოში დააბრუნეს...

ოჯახის მამამ ჟოაომ „გრემიოს“ ხელმძღვანელობას ორი ულტიმატუმი წაუყენა: პირველი — რობერტო პროფესიონალთა გუნდში უნდა ჩაერიცხათ; მეორე — და ასისები მორყეული ხის სახლიდან ვილა ნოვას რესპექტაბელურ უბანში, ხუთოთახიან ფართო ბინაში უნდა გადასულიყვნენ. ასეც მოხდა. თუმც ჟოაოს შვილების ბედნიერებით ბევრი არ გაუხარია — 1987 წელს უიღბლო კაცი კლუბის მიერ ნაჩუქარ აუზში დაიხრჩო... რონი მაშინ 7 წლის იყო, რობერტო 17-ის. მას შემდეგ რობერტო და ასისი ოჯახის მარჩენალი და რონალდინიოსთვის მამის შემცვლელი შეიქნა. „ბარსელონას“ და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი დღესაც კი ძმის დაუკითხავად ნაბიჯსაც არ გადადგამს. რობერტოს გავლენით რონალდინიო ფეხბურთისადმი პატივისცემით გაიზარდა. პატარა კიჭა ძმის ყველა ვარჯიშს ესწრებოდა, ხოლო წვრთნის ბოლოს სტადიონზე შერბოდა და რობერტოსთან ერთად ჟონგლიორობით ერთობოდა. ქომაგებს და ჟურნალისტებს სიცოცხლით სავსე ბიჭუნა საოცრად შეუყვარდათ. იმ წლების ბრაზილიური გაზეთები ხშირად ბეჭდავდნენ ძმების ფოტოებს.

*(გაგრძელება იქნება)*



# ფრისკის რისკი

## ერთი ფილმის ანოტაცია

ტელეკომპანია ITV 1-მა გადაიღო პუბლიცისტური ფილმი „სიმართლე მსაჯების შესახებ“, რომელშიც მთავარი გმირია ანდერს ფრისკი, მთავარი თემა კი მისი ფეხბურთიდან წასვლა. გავიხსენოთ რა მოხდა: ფრისკი შარშანდელი „ბარსელონა“ — „ჩელსის“ არბიტრი გახლდათ, რომელმაც მოედნიდან ლონდონელი დიდიე დროგბა გააძევა. ინგლისურმა გუნდმა მსაჯი ამის გამო ლამის ჯვარს აცვა, თუმცა იყო სხვა მიზეზიც — „ჩელსის“ შეფები ფრისკს „ბარსელონას“ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდთან შესვენებისას საუბარში სდებდნენ ბრალს. მართალია, ასეთი ბრალდებების გამო უეფამ „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, კლუბს კი ჯარიმა გადაახდევინა, მაგრამ შვედ არბიტრს ამით ცხოვრება არ გაუადვილდა. ფრისკმა სასიკვდილო მუქარის წერილები მიიღო და საერთოდ დაანება პროფესიას თავი.

„ჩემი პროფესიიდან წასვლა გამოიწვია მრავალმა სასიკვდილო მუქარამ, ამბებმა, რომელიც იმ პერიოდში დატრიალდა, ინფორმაციამ, რომელიც ჩემ შესახებ ხალხს ჰქონდა, საკუთრივ ჩემმა მოქმედებებმა... მუქარის შინაარსს არ მოვყვები, რადგან არ მინდა ამის შესახებ შვილებმა იცოდნენ, არ არის საჭირო. საერთოდ, შემიძლია ვთქვა, რომ ზუსტად ახლაც არ ვიცი, რა მოხდა იმ 16 დღეში, უბრალოდ, ვუყურებდი ერთი-მეორეს მიყოლებულ მოვლენებს და ვხვდებოდი, რომ მსაჯობა აღარ მინდოდა. დღესაც, როდესაც წარმოვიდგენ, რა ჯოჯოხეთი მოვიშორე თავიდან, ბედნიერების გრძნობა მეუფლება“ — ამბობს ფილმში ფრისკი.

რაც შეეხება რაიკარდთან საუბარს, რომლის გამოც მაურინიუმ ერთი ამბავი ატეხა, ეს, საბრალო ყოფილი არბიტრის თქმით, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში გვერდით მიმავალ კაცთან უბრალო ხელის ჩამორთმევა ყოფილა და მეტი არაფერი.

ფრისკი: „ოღონდ ამან ისე იმოქმედა, როგორც გაზთან ანთებული ასანთის მიტანამ“.

ფილმში თავის ამბებს ჰყვება კიდევ ერთი არბიტრი, ურს მეიერი, რომელიც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლის—პორტუგალიას სჯიდა და ინგლისელების გატანილი გოლი არ ჩათვალა. თურმე მუქარის წერილები მასაც მიუღია.

და ბოლოს, როგორც ამბობენ, გულშემატკივართა ინტერნეტ ფორუმებში მუქარა „ჩელსი“ — „ბარსელონას“ ორი კვირის წინანდელი თამაშის ნორვეგიელი მსაჯის ტერიე ჰაუგეს მისამართითაც დაუწერიათ. ისე, მაგას რა უნდა...

**პაპუნა ძიდია**

# უიგანს იღბალმა უღალატა

## ინგლისი

პრემიერლიგა

XXVIII ტური

**უიგანი 1:2 მანჩესტერი**

1:0 შარნერი (60), 1:1 რონალდუ (74), 1:2 ჩიმბონდა (90ს.კ.)

**უიგანი:** ფილანი, ჩიმბონდა, დე ზეუვი, ბაინსი, შარნერი, ბალარდი, კავანაფი, ა. კამარა, მაკკალოხი (ციგლერი 89), რობერტსი, ტილი

**მწვრთნელი:** პოლ ჯუელი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი, სილვესტრი (ევრა 85), კ. რონალდუ, ოში, პარკი (ვან ნისტელროი 71), გიგზი, რუნი, საა

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**გაფრთხილება:** დე ზეუვი, კავანაფი, შანრერი, გიგზი, მაკკალოხი, ოში, ნევილი, ბაინსი

**მსაჯი:** ბენეტი

23 574 მაყურებელი



AFP უიგანიდან

საა და ნევილი მოგებამ წასწია

**„მანჩესტერმა“** „უიგანთან“ მოგებით „ლივერპულს“ გადაასწრო და მეორე ადგილისთვის ახლა უფრო ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდება, რადგან მეორე საფეხურიდან ჩემპიონთა ლიგა ჩანს.

ალექს ფერგიუსონისა და პოლ ჯუელის გუნდები ათი დღის წინ ლიგის თასის ფინალშიც შეხვდნენ კარდიფში. მაშინ „მანჩესტერმა“ იოლად მოახრჩო პრემიერლიგის დებიუტანტი და 4:0 მოუგო, ამჯერად კი ძალიან გაუჭირდა.

უიგანელები პირველ ტაიმში აშკარად სჯობდნენ მეტოქეს, მაგრამ სულ ცოტა, ექვსი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. სტუმართა დაცვას ეძინა, ნახევარმცველები კი შეტევებს თავს ვერ აბამდნენ.

შესვენების შემდეგ „უიგანმა“ კიდევ უფრო მოუმატა და დაწინაურდა შარნერის გოლით, რომელმაც ვან დერ საარის მოგერიებული ბურთი ახლოდან გაიტანა.

ამის მერე კი იკადრა ფერგიუსონმა და რუუდ ვან ნისტელროი შეუშვა, რომელიც უთამაშებლობის გამო მწვრთნელზე ნაწყენი ყოფილა.

ჰოლანდიელმა ოთხ წუთში საგოლე პასი მიართვა კრიშტიანუ რონალდუს და მანაც ანგარიში გაათანაბრა. გალაღებულმა მანჩესტერმა გულიანად შეუტია და იღბალიც სტუმრებისკენ გადაიხარა. საას დარტყმული ბურთი ძელმა უკუაგდო, უიგანელ მცველ ჩიმბონდას მოხვდა და კარში შევარდა.

ალექს ფერგიუსონმა ნამატჩევს თქვა: „ამ სეზონში სტუმრად ასე არ გაგვჭირვებია, მასპინძლები კი მარცხს ნაღდად არ იმსახურებდნენ. პირველ ტაიმში ისე უშნოდ ვითამაშეთ, რომ ფრეზეც კი ყაბულს ვიყავი, მაგრამ ვან ნისტელროის შესვლამ და რუნის ნახევარდაცვაში დაწევამ გვიშველა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 28 | 23 | 3 | 2 | 56:17 | 72 |
| მანჩესტერი | 27 | 17 | 6 | 4 | 54:28 | 57 |
| ლივერპული | 28 | 16 | 7 | 5 | 33:17 | 55 |
| ტოტენჰემი | 28 | 13 | 10 | 5 | 40:26 | 49 |
| არსენალი | 28 | 13 | 5 | 10 | 43:22 | 44 |
| ბლექბერნი | 28 | 13 | 4 | 11 | 36:34 | 43 |
| ბოლტონი | 26 | 11 | 9 | 6 | 33:27 | 42 |
| ვესტ ჰემი | 27 | 12 | 6 | 9 | 41:36 | 42 |
| სიტი | 28 | 12 | 4 | 12 | 38:32 | 40 |
| უიგანი | 28 | 12 | 4 | 12 | 33:36 | 40 |
| ნიუკასლი | 28 | 11 | 6 | 11 | 29:30 | 39 |
| ევერტონი | 28 | 11 | 4 | 13 | 21:36 | 37 |
| ჩარლტონი | 28 | 10 | 6 | 12 | 32:37 | 36 |
| ასტონ ვილა | 28 | 8 | 10 | 10 | 33:35 | 34 |
| მიდლსბრო | 27 | 9 | 7 | 11 | 36:44 | 34 |
| ფულემი | 28 | 9 | 5 | 14 | 37:43 | 32 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 7 | 5 | 16 | 25:42 | 26 |
| ბირმინგემი | 27 | 6 | 5 | 16 | 22:38 | 23 |
| პორტსმუთი | 28 | 4 | 6 | 18 | 18:48 | 18 |
| სანდერლენდი | 28 | 2 | 4 | 22 | 19:51 | 10 |

# შავმა კატებმა გააბოლეს



კევინ ბოლი

**ინგლისური** „სანდერლენდი“ კევინ ბოლს ჩააბარეს. 42 წლის მწვთნელი გუნდს სეზონის ბოლომდე ანუ დარჩენილ 10 მატჩში უხელმძღვანელებს და მხარეები ამის მერე გადაწყვეტენ, გააფორმონ თუ არა ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტი. ბოლმა მიკ მაკარტი შეცვალა, რომელმაც „შავი კატების“ კრიზისიდან გამოყვანა ვერ შეძლო და გუნდს პრემიერლიგაში დარჩენის შანსი, ფაქტობრივად, აღარ აქვს.

კევინ ბოლი „სანდერლენდის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ფანების საყვარელი მოთამაშეა. მას კლუბის ისტორიაში საუკეთესო კაპიტნადაც მოიხსენიებენ. იგი „შავ კატებში“ 1990 წელს „პორტსმუთიდან“ გადავიდა. 1992 წელს კაპიტნის სამკლავური მოირგო, ხოლო 1999 წელს „ფულემში“გაყიდეს, რასაც „ბარნლი“ მოჰყვა და ბოლმაც სათამაშო კარიერა მალევე დაასრულა. „სანდერლენდის“ მაისურა 388-ჯერ მოურგია, აქამდე კი ახალგაზრდული გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი იყო.

„გუნდს სეზონის ბოლომდე კევინ ბოლი უთავკაცებს. ვფიქრობ, იგი ამჟამად საუკეთესო კანდიდატია. ის ნამდვილი პროფესიონალია და „სანდერლენდი“ ძალიან უყვარს. მის თამაშს, ხასიათსა და ლიდერობისკენ სწრაფვას ფანები ყოველთვის აფასებდნენ და იმედია, ახლაც გვერდში დაუდგებიან. ჩვენი ქომაგები ამ მძიმე დროსაც ყველანაირად მხარს გვიჭერდნენ. ამისთვის დიდი მადლობა მათ და მჯერა, ჩვენ ერთად დავძლევთ კრიზისს“ — თქვა „შავი კატების“ მმართველმა ბობ მიურეიმ.

**კოკი კანდელაკი**

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXV ტური

რიუ ავე 2:1 ბელენენსეში

1:0 გაუშუ (17), 2:0 ევანდრო (81), 2:1 ჟ. რონალდუ (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 25 | 16 | 6 | 3 | 38:14 | 54 |
| სპორტინგი | 25 | 16 | 4 | 5 | 41:22 | 52 |
| ბენფიკა | 25 | 15 | 4 | 6 | 40:22 | 49 |
| ბრაგა | 25 | 14 | 6 | 5 | 29:13 | 48 |
| ბოავიშტა | 25 | 12 | 9 | 4 | 34:20 | 45 |
| ნასიონალი | 25 | 12 | 7 | 6 | 30:21 | 43 |
| სეტუბალი | 25 | 12 | 3 | 10 | 21:22 | 39 |
| ლეირია | 25 | 9 | 5 | 11 | 32:35 | 32 |
| მარიტიმუ | 25 | 7 | 9 | 9 | 28:29 | 30 |
| რიუ ავე | 25 | 7 | 8 | 10 | 27:36 | 29 |
| აკადემიკა | 25 | 8 | 5 | 12 | 25:35 | 29 |
| ბელენენსეში | 25 | 8 | 4 | 13 | 31:32 | 28 |
| ჟილ ვისენტე | 25 | 8 | 3 | 14 | 26:32 | 27 |
| ამადორა | 25 | 7 | 6 | 12 | 20:26 | 27 |
| ნავალი | 25 | 8 | 3 | 14 | 26:35 | 27 |
| გიმარაეში | 25 | 7 | 6 | 12 | 20:30 | 27 |
| ფერეირა | 25 | 7 | 6 | 12 | 25:37 | 27 |
| პენაფიელი | 25 | 2 | 6 | 17 | 18:50 | 12 |

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVIII ტური

ლორიანი 1:3 კაენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 28 | 13 | 11 | 4 | 38:24 | 50 |
| ბასტია | 27 | 13 | 8 | 6 | 38:22 | 47 |
| ვალანსიენი | 28 | 12 | 11 | 5 | 35:23 | 47 |
| ლორიანი | 28 | 12 | 9 | 7 | 33:22 | 45 |
| დიჟონი | 28 | 11 | 10 | 7 | 31:24 | 43 |
| კრეტეი | 28 | 10 | 12 | 6 | 36:21 | 42 |
| კაენი | 28 | 10 | 11 | 7 | 35:27 | 41 |
| ლე ავრი | 28 | 9 | 12 | 7 | 35:30 | 39 |
| მონპელიე | 28 | 10 | 9 | 9 | 26:28 | 39 |
| გენიონი | 28 | 8 | 13 | 7 | 19:26 | 37 |
| გრენობლი | 28 | 9 | 9 | 10 | 26:30 | 36 |
| რეიმსი | 27 | 7 | 13 | 7 | 22:18 | 34 |
| გენგამი | 28 | 7 | 12 | 9 | 20:21 | 33 |
| ისტრი | 28 | 8 | 9 | 11 | 26:37 | 33 |
| შატორუ | 28 | 7 | 11 | 10 | 33:36 | 32 |
| ამიენი | 28 | 6 | 13 | 9 | 25:29 | 31 |
| ბრესტი | 28 | 7 | 10 | 11 | 25:31 | 31 |
| კლერმონი | 28 | 8 | 7 | 13 | 25:42 | 31 |
| ლავალი | 28 | 7 | 6 | 15 | 24:39 | 27 |
| სეტე | 28 | 3 | 8 | 17 | 22:44 | 17 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

XXIV ტური

ალემანია 3:2 ჰანზა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 24 | 13 | 7 | 4 | 38:19 | 46 |
| ალემანია | 23 | 14 | 3 | 6 | 43:25 | 45 |
| ფრაიბურგი | 23 | 11 | 5 | 7 | 31:25 | 38 |
| კოტბუსი | 23 | 10 | 7 | 6 | 37:27 | 37 |
| პადერბორნი | 24 | 10 | 6 | 8 | 35:22 | 36 |
| ფიურტი | 22 | 10 | 6 | 6 | 35:29 | 36 |
| კარლსრუე | 23 | 10 | 6 | 7 | 33:29 | 36 |
| უნტერჰახინგი | 23 | 10 | 4 | 9 | 35:29 | 34 |
| მიუნხენი | 24 | 8 | 8 | 8 | 34:33 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 24 | 8 | 8 | 8 | 29:37 | 32 |
| ჰანზა | 23 | 9 | 4 | 10 | 32:32 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 22 | 9 | 4 | 9 | 25:25 | 31 |
| აუე | 24 | 7 | 9 | 8 | 23:26 | 30 |
| ოფენბახი | 23 | 7 | 3 | 13 | 23:43 | 24 |
| დინამო | 22 | 6 | 5 | 11 | 24:32 | 23 |
| ზიგენი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:31 | 20 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 5 | 5 | 12 | 22:42 | 20 |
| ალენი | 23 | 4 | 7 | 12 | 23:38 | 19 |

## იტალია

სერია B. XXXI ტური

კატანია 3:0 მანტოვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატანია | 31 | 17 | 9 | 5 | 48:30 | 60 |
| ატალანტა | 31 | 18 | 5 | 8 | 48:34 | 59 |
| მანტოვა | 31 | 15 | 10 | 6 | 39:28 | 55 |
| ჩეზენა | 31 | 15 | 9 | 7 | 48:35 | 54 |
| ბრეშა | 31 | 13 | 13 | 5 | 43:24 | 52 |
| ტორინო | 31 | 12 | 13 | 6 | 35:26 | 49 |
| არეცო | 31 | 12 | 12 | 7 | 33:23 | 48 |
| კროტონე | 31 | 13 | 7 | 11 | 36:32 | 46 |
| პესკარა | 31 | 11 | 9 | 11 | 30:34 | 42 |
| ვერონა | 31 | 9 | 14 | 8 | 35:29 | 41 |
| პიაჩენცა | 31 | 9 | 14 | 8 | 41:36 | 41 |
| მოდენა | 31 | 9 | 13 | 9 | 40:33 | 40 |
| ბოლონია | 31 | 9 | 12 | 10 | 32:35 | 39 |
| რიმინი | 31 | 9 | 11 | 11 | 34:36 | 38 |
| ტრიესტინა | 31 | 9 | 11 | 11 | 30:36 | 38 |
| ვიჩენცა | 31 | 10 | 7 | 14 | 30:38 | 37 |
| ბარი | 31 | 7 | 12 | 12 | 31:37 | 33 |
| აველინო | 31 | 7 | 10 | 14 | 31:49 | 31 |
| ტერნანა | 31 | 5 | 13 | 13 | 23:41 | 28 |
| კრემონეზე | 31 | 6 | 8 | 17 | 27:39 | 26 |
| ალბინოლეფე | 31 | 4 | 13 | 14 | 23:40 | 25 |
| კატანძარო | 31 | 6 | 7 | 18 | 18:40 | 25 |

## არგენტინა

კლაუსურა. VIII ტური

ხიმნასია (ლ) 3:0 როსარიო

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 3 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 16:45 | 4 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 19:00 | 6 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 7 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 8 | ევერტონი-ფულემი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 19:00 | 9 | სანდერლენდი-უიგანი | 2.95 | 3.20 | 2.25 | 1.53 | 1.27 | 1.32 |
| 19:00 | 10 | პორტსმუთი-სიტი | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 21:45 | 11 | ბლექბერნი-ასტონ ვილა | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 12 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.40 | 4.20 | 7.00 | 1.04 | 1.16 | 2.62 |
| 20:00 | 13 | არსენალი-ლივერპული | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 16 | ვულვერჰემპტონი-კარდიფი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 17 | რედინგი-უოტფორდი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 18 | უენსდი-ქპრ | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 19:00 | 19 | ლუტონი-ლესტერი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 20 | ლიდსი-ნორვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 19:00 | 21 | ბრაიტონი-პრესტონი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 22 | დერბი-ბარნლი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 23 | ქოვენთრი-შეფილდი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 19:00 | 24 | ქრიუ-საუთჰემპტონი | 2.70 | 3.20 | 2.40 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 19:00 | 25 | იფსვიჩი-მილუოლი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 26 | ჰალი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 29 | საუთენდი-სკანთორპი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 30 | ჰარტლპული-ჰადერსფილდი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 23:45 | 39 | დონსი-ბრისტოლი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 31 | დონკასტერი-პორტ ვეილი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 32 | ბრენტფორდი-ბარნსლი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 33 | ბლეკპული-როტერჰემი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 34 | ბორნმუთი-ბრედფორდი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 19:00 | 35 | ტრანმერი-ჩესტერფილდი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 36 | ოლდემი-კოლჩესტერი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 37 | ნოტინგემი-ჯილინგემი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 19:00 | 38 | იოვილი-სუინდონი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 40 | სუონსი-უოლსოლი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **10 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 42 | ნორთჰემპტონი-კარლაილი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 43 | მენსფილდი-ბოსტონი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 44 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 45 | ლეიტონი-ჩელტენემი | 1.95 | 3.20 | 3.45 | 1.21 | 1.24 | 1.66 |
| 19:00 | 46 | ლინკოლნი-რაშდენი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 19:00 | 47 | სტოკპორტი-ოქსფორდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 48 | ტორკი-პიტერბრო | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 19:00 | 49 | როვერსი-ნოტსი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 50 | დარლინგტონი-ჩესტერი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 19:00 | 51 | გრიმსბი-ბარნეტი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 19:00 | 52 | რექსემი-ბერი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 53 | უიკომბი-შრიუსბერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 70 | დანდი იუნ.-ლივინგსტონი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 19:00 | 71 | დანფერმლაინი-აბერდინი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 19:00 | 72 | ინვერნესი-ჰართსი | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 19:00 | 74 | რეინჯერსი-კილმარნოკი | 1.45 | 3.90 | 6.20 | 1.05 | 1.17 | 2.39 |
| 19:00 | 75 | მოზერუელი-ფოლკირკი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 76 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 6.00 | 3.50 | 1.50 | 2.21 | 1.20 | 1.04 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 18:30 | 97 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4.40 | 3.40 | 1.75 | 1.91 | 1.25 | 1.15 |
| 18:30 | 99 | არმინია-ლევერკუზენი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:30 | 100 | დუისბურგი-ჰანოვერი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 18:30 | 101 | კიოლნი-ნიურნბერგი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 18:30 | 102 | მაინცი-მიონხენგლადბახი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 18:30 | 103 | შალკე-აინტრახტი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 18:30 | 105 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 1.85 | 3.30 | 3.95 | 1.18 | 1.25 | 1,79 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 106 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| 20:30 | 108 | ვერდერი-ჰერტა | 1.55 | 3.60 | 5.70 | 1.08 | 1.21 | 2.20 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **8 მარტი** | | | | | | |
| 21:15 | 110 | ბრაუნშვაიგი-კოტბუსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 21:15 | 111 | დინამო-ფიურტი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 167 | სიენა-ტრევიზო | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:30 | 168 | ინტერი-სამპდორია | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 170 | ასკოლი-რომა | 4.00 | 3.00 | 1.95 | 1.71 | 1.31 | 1.18 |
| 18:00 | 171 | კალიარი-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.50 | 1.44 | 1.36 | 1.32 |
| 18:00 | 173 | ემპოლი-კიევო | 2.70 | 2.90 | 2.65 | 1.39 | 1.33 | 1.38 |
| 18:00 | 174 | ლაციო-რეჯინა | 1.70 | 3.10 | 5.50 | 1.09 | 1.29 | 1.98 |
| 18:00 | 175 | პარმა-ლივორნო | 2.35 | 2.70 | 3.40 | 1.25 | 1.38 | 1.50 |
| 18:00 | 176 | პალერმო-უდინეზე | 1.90 | 3.00 | 4.30 | 1.16 | 1.31 | 1.76 |
| 18:00 | 177 | მესინა-ლეჩე | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| 23:30 | 178 | იუვენტუსი-მილანი | 2.25 | 2.90 | 3.30 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 23:45 | 210 | ვალენსია-რეალი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| 23:00 | 213 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 21:00 | 215 | ესპანიოლი-სელტა | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 209 | სარაგოსა-ხეტაფე | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 20:00 | 211 | მალიორკა-ვილიარეალი | 2.70 | 3.00 | 2.60 | 1.42 | 1.32 | 1.39 |
| 23:45 | 212 | ოსასუნა-ბარსელონა | 4.50 | 3.30 | 1.75 | 1.90 | 1.25 | 1.14 |
| 20:00 | 216 | ბეტისი-მალაგა | 1.80 | 3.30 | 4.20 | 1.16 | 1.25 | 1.84 |
| 20:00 | 217 | ალავესი-სევილია | 2.65 | 3.10 | 2.55 | 1.42 | 1.29 | 1.39 |
| 20:00 | 219 | ბილბაო-კადისი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 22:00 | 220 | ატლეტიკო-რასინგი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **9 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 291 | ოსი-აპელდორნი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 333 | ოლიმპიაკოსი-კალამარია | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 334 | ოფი-იონიკოსი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 17:30 | 335 | პაოკ-პანათინაიკოსი | 3.10 | 3.00 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 17:30 | 336 | ოლიმპია-ქსანთი | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 17:30 | 337 | ეგალეო-ატრომიტოსი | 2.05 | 3.00 | 3.40 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 17:30 | 338 | აკრატიტოსი-კალითეა | 2.35 | 3.00 | 2.80 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| 17:30 | 339 | ლევადეიაკოსი-ირაკლისი | 2.35 | 3.00 | 2.75 | 1.31 | 1.26 | 1.43 |

**დანია. სუპერლიგა**

**11 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 493 | ორჰუსი-სიონდერიისკე | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |

**12 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 494 | ოლბორგი-ჰორსენსი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 18:00 | 495 | ესბიერგი-მიდტიულანდი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 496 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 497 | ვიბორგი-სილკებორგი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 20:30 | 498 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |

**ჩემპიონთა ლიგა**

**8 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 443 | არსენალი-რეალი | 2.45 | 3.30 | 2.65 | 1.40 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 444 | ლიონი-პსვ | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:45 | 445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.45 | 3.90 | 7.00 | 1.05 | 1.20 | 2.50 |
| 23:45 | 446 | მილანი-ბაიერნი | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |

**უეფას თასი**

**9 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 447 | პალერმო-შალკე | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 22:00 | 448 | ლილი-სევილია | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 449 | მიდლსბრო-რომა | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| 23:45 | 450 | უდინეზე-ლევსკი | 1.55 | 3.50 | 5.80 | 1.07 | 1.22 | 2.18 |
| 21:00 | 451 | სტიაუა-ბეტისი | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 23:15 | 452 | ბაზელი-სტრასბური | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 453 | მარსელი-ზენიტი | 1.70 | 3.30 | 4.75 | 1.12 | 1.25 | 1.94 |
| 19:00 | 454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 2.65 | 3.10 | 2.45 | 1.42 | 1.27 | 1.36 |

**შოტლანდია. თასი**

**9 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 457 | დანდი-ჰამილტონი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |

**ავსტრია. თასი**

**8 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 463 | აუსტრია(ლ)-რაპიდი | 3.60 | 3.30 | 1.80 | 1.72 | 1.20 | 1.16 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 464 | აუსტრია-ტიროლი | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.00 | 1.14 | 2.60 |

**ბელგია. თასი**

**8 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 465 | სტანდარდი-გენტი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |

**თურქეთი. თასი**

**8 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 727 | მალათია-გაზიანთეფი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:00 | 728 | ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

**9 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 729 | დენიზლი-სამსუნი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 22:00 | 730 | ბეშიქთაში-კაისერი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |

**როიალ ლიგა**

**9 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 479 | მიდტიულანდი-ლინი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 23:35 | 480 | ჰამარბი-კოპენჰაგენი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 23:35 | 481 | ლილესტრიომი-გიოტებორგი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:35 | 482 | ვოლერენგა-ოურგორდენი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |

**ლიბერტადორესის თასი**

**8 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 486 | სპორტინგ კრისტალი-ბოლივარი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 23:45 | 487 | რივერ პლეიტი-ნასიონალი | 1.20 | 5.50 | 8.50 | 1.00 | 1.05 | 3.33 |
| 23:45 | 488 | სან პაულუ-სიენსიანო | 1.17 | 5.60 | 10.00 | 1.00 | 1.04 | 3.58 |
| 23:45 | 489 | პუმასი-ინტერნასიონალი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |

**9 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 490 | ნასიონალი-მარაკაიბო | 1.40 | 3.90 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.43 |
| 23:45 | 491 | ინდეპენდიენტე-ესტუდიანტესი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1:52 |
| 23:45 | 492 | ტიგრესი-კორინთიანსი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |

**კალათბურთი. ევროლიგა**

**8 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 883 | პანათინაიკოსი-ეფესი | 1.15 | 12.00 | 4.00 | 1.04 | 1.00 | 3.00 |
| 23:45 | 884 | ტაუ-რიტასი | 1.20 | 12.00 | 3.50 | 1.09 | 1.00 | 2.70 |
| 21:00 | 885 | ციბონა-ბენეტონი | 1.70 | 12.00 | 1.80 | 1.48 | 1.00 | 1.56 |

**9 მარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 882 | ულქერი-რეალი | 2.00 | 12.00 | 1.60 | 1.71 | 1.00 | 1.41 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10443 | არსენალი-რეალი | 2.75 | 2.00 | 2.90 | 1.15 | 1.41 | 1.18 |
| 10444 | ლიონი-პსვ | 1.85 | 2.10 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.51 |
| 10445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.75 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.64 |
| 10446 | მილანი-ბაიერნი | 2.30 | 2.00 | 3.55 | 1.06 | 1.39 | 1.27 |
| 10447 | პალერმო-შალკე | 2.85 | 2.00 | 3,20 | 1.17 | 1.50 | 1.23 |
| 10448 | ლილი-სევილია | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10449 | მიდლსბრო-რომა | 3.20 | 2.00 | 2.85 | 1.23 | 1.50 | 1.17 |
| 10450 | უდინეზე-ლევსკი | 1.85 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.38 | 1.57 |
| 10451 | სტიაუა-ბეტისი | 2.70 | 2.00 | 3.50 | 1.14 | 1.52 | 1.27 |
| 10452 | ბაზელი-სტრასბური | 2.30 | 2.00 | 4.40 | 1.06 | 1.51 | 1.37 |
| 10453 | მარსელი-ზენიტი | 2.10 | 2.00 | 5.00 | 1.02 | 1.47 | 1.42 |
| 10454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11443 | არსენალი-რეალი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11444 | ლიონი-პსვ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 8.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11445 | ლივერპული-ბენფიკა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11446 | მილანი-ბაიერნი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11447 | პალერმო-შალკე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11448 | ლილი-სევილია | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11449 | მიდლსბრო-რომა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11450 | უდინეზე-ლევსკი | 2.10 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11451 | სტიაუა-ბეტისი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11452 | ბაზელი-სტრასბური | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |
| 11453 | მარსელი-ზენიტი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12443 | არსენალი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 12444 | ლიონი-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 12445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 12446 | მილანი-ბაიერნი | 1.60 | 2.00 |
| 12447 | პალერმო-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12448 | ლილი-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 12449 | მიდლსბრო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12450 | უდინეზე-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 12451 | სტიაუა-ბეტისი | 1.60 | 2.00 |
| 12452 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 12453 | მარსელი-ზენიტი | 1.60 | 2.00 |
| 12454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13443 | არსენალი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13444 | ლიონი-პსვ | 1.70 | 1.90 |
| 13445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.70 | 1.90 |
| 13446 | მილანი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13447 | პალერმო-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13448 | ლილი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13449 | მიდლსბრო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13450 | უდინეზე-ლევსკი | 1.70 | 1.90 |
| 13451 | სტიაუა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13452 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13453 | მარსელი-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14443 | არსენალი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 14444 | ლიონი-პსვ | 1.35 | 2.50 |
| 14445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.25 | 2.50 |
| 14446 | მილანი-ბაიერნი | 1.65 | 2.10 |
| 14447 | პალერმო-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 14448 | ლილი-სევილია | 1.80 | 2.00 |
| 14449 | მიდლსბრო-რომა | 1.90 | 1.90 |
| 14450 | უდინეზე-ლევსკი | 1.30 | 2.50 |
| 14451 | სტიაუა-ბეტისი | 1.80 | 2.00 |
| 14452 | ბაზელი-სტრასბური | 1.70 | 2.20 |
| 14453 | მარსელი-ზენიტი | 1.40 | 2.40 |
| 14454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.95 | 1.85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15443 | არსენალი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15444 | ლიონი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15445 | ლივერპული-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15446 | მილანი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15447 | პალერმო-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15448 | ლილი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15449 | მიდლსბრო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15450 | უდინეზე-ლევსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15451 | სტიაუა-ბეტისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15452 | ბაზელი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15453 | მარსელი-ზენიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16443 | არსენალი-რეალი | 1.65 | 1.85 |
| 16444 | ლიონი-პსვ | 1.17 | 3.55 |
| 16445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.11 | 4.00 |
| 16446 | მილანი-ბაიერნი | 1.40 | 2.35 |
| 16447 | პალერმო-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 16448 | ლილი-სევილია | 1.55 | 2.10 |
| 16449 | მიდლსბრო-რომა | 1.90 | 1.65 |
| 16450 | უდინეზე-ლევსკი | 1.20 | 3.30 |
| 16451 | სტიაუა-ბეტისი | 1.55 | 2.10 |
| 16452 | ბაზელი-სტრასბური | 1.40 | 2.50 |
| 16453 | მარსელი-ზენიტი | 1.25 | 3.00 |
| 16454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.80 | 1.70 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18443 | არსენალი-რეალი | 1.38 | 2.60 |
| 18444 | ლიონი-პსვ | 1.07 | 5.80 |
| 18445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.55 | 2.10 |
| 18446 | მილანი-ბაიერნი | 1.40 | 2.60 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17443 | არსენალი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17444 | ლიონი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17445 | ლივერპული-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17446 | მილანი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17447 | პალერმო-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17448 | ლილი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17449 | მიდლსბრო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17450 | უდინეზე-ლევსკი | 1.85 | 1.95 |
| 17451 | სტიაუა-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17452 | ბაზელი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17453 | მარსელი-ზენიტი | 1.85 | 1.95 |
| 17454 | რაპიდი(ბ)-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |

ევროპის ერთა თასი 2006. მესამე ტური

## საქართველო VS პორტუგალია

11 მარტი. თბილისი. ეროვნული სტადიონი. 14 საათი

# დაუმალეთ ტოპმიოლერს ბიჭები

## ტრაგედია, ალერგია, ოჯახი და პრობლემები პორტუგალიამდე

პორტუგალიასთან მატჩისთვის გუშინ დილას საქართველოს ნაკრებმა პირველად და არასრული რაზმით ივარჯიშა „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე. ორსაათიანი აქეთურ-იქითურის შემდეგ დაღლილი ბორჯღალოსნები ადრეგაზაფხულის მზეს მიეფიცხნენ და სახალისო ამბებს ყვებოდნენ: ის-ის იყო, დაშლას და სასტუმროში წასვლას აპირებდნენ, რომ ხასიათის წამხდენი ამბავი გაიგეს.

ბორჯღალოსანთა მორკინალ ბესიკ უდესიანს მამა გარდაეცვალა. უდესიანი დილის ვარჯიშზე არ იყო, მამას ადგა თავზე და... ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ვინ შეცვლის უდესიანს, რომლის არყოფნაც ძალიან დიდი დანაკლისია ჩვენებისთვის.

გუშინ არ უვარჯიშია და საბოლოოდ გაირკვა, რომ საპორტუგალიო 22-კაციანი რაზმიდან ამოვარდა საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოიერიშე გიორგი შკინინი. „ხულიგანას“ ჩაუქ გარემარბს მძიმე ფორმის ალერგია დაემართა. მის ნაცვლად ბორჯღალოსანთა მწვრთნელებმა თბილისის „აკადემიის“ შემტევი გიორგი ელიზბარაშვილი დაიმატეს და გუშინდელ ვარჯიშზე გუნდს გაუშინაურეს კიდეც.

არ უვარჯიშიათ, მაგრამ პორტუგალიასთან აუცილებლად ითამაშებენ იტალიური „როვიგოს“ უკანახაზელი ბესიკ ხამაშურიძე, „ანდორას“ მცველი ოთარ ბარკალაია, ტულონელი გია ლაბაძე და შერკინების ბურჯი დავით ზერაქაშვილი. ხამაშურიძეს და ბარკალაიას თბილისში ჩამოსვლა დაუგვიანდათ და საღამოსკენ შეუერთებოდნენ გუნდს. ლაბაძე და ზერაქიშვილი სხვა ლეგიონერებთან ერთად გუშინწინ კი ჩამოფრინდნენ, მაგრამ ოჯახური და პირადი საქმეები ჰქონდათ მოსაგვარებელი და მწვრთნელებთან შეთანხმებით გაუცდათ დილის ვარჯიში.

გუშინ მწვრთნელებს დიდად არ დაუტვირთავთ მორაგბეები. სტატიკური მომენტების და აუტების ვარიანტების დამუშავების შემდეგ ბორჯღალოსნებმა კომბინაციებში ივარჯიშეს და ამას ხუმრობა-ხუმრობაში აკეთებდნენ. შერკინების ბურჯმა, 130-კილოგრამიანმა მიხეილ სუჯაშვილმა და შერკინების გამთამაშებელმა, ტანმორჩილმა ბიძინა სამხარაძემ ოვალური ბურთით ისეთი კენწლაობა გააჩაღეს, ერთ-ერთი მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილი ეხუმრა, ტოპმიოლერმა არ განახოთ, თორემ თქვენს თავს წაგვართმევსო. ნავარჯიშებს ბორჯღალოსნებმა მცირე კომენტარებიც გააკეთეს.



*მალხაზ ურჯუკაშვილი:* „ჩემს კლუბს „კანს“ უკან-უკან მისდის საქმეები. ბოლო მატჩში ორი ლელო გავიტანე და ერთიც თანაგუნდელს გავატანინე, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა. ის შეხვედრა წავაგეთ და უშანსოდ ვართ. ქვედა დივიზიონში ჩასვლა არ აგვცდება. მე ალბათ კლუბს გამოვიცვლი. რაც შეეხება პორტუგალიასთან მატჩს, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოვიგებთ.“

*გოდერძი შველიძე:* „რუმინეთთან წაგება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უკვე დავივიწყეთ, იქ დაშვებული შეცდომები კი უნდა გამოვასწოროთ. პორტუგალიას ალბათ ისევ და ისევ შერკინებით უნდა ვაჯობოთ. ჩვენ, მორკინალებმა უნდა მოვუპოვოთ უკანა ხაზს ბურთი და უპირატესობა შევუქმნათ. ჩვენს გამარჯვებაში ეჭვიც არ მეპარება. მთავარია, თამამად და დიდი სხვაობით მოვიგოთ.“

*ილია ზედგინიძე:* „ბოლო სამი წელია, პორტუგალია გვამარცხებს. დროა, ეს უიღბლო სერია შევწყვიტოთ. წლეულს ჩვენი ნაკრები გაცილებით ძლიერია, ვიდრე შარშან და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამჯერად გამარჯვება ჩვენ უნდა დაგვრჩეს.“

საპორტუგალიოდ ეს ბორჯღალოსნები ემზადებიან: *გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, მიხეილ სუჯაშვილი, დავით ზერაქაშვილი, გიორგი კუთარაშვილი, მამუკა გორგოძე, ილია ზედგინიძე (კაპ), ლევან დათუნაშვილი, რატი ურუშაძე, გია ლაბაძე, ბიძინა სამხარაძე, ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, ირაკლი გიორგაძე, ოთარ ბარკალაია, თემურ სოხაძე, გიორგი ელიზბარაშვილი, ზვიად მაისურაძე, ირაკლი მაჩხანელი.*

ბაჩო სვანიძე



გოდერძი შველიძე



ბორჯღალოსანთა მწვრთნელებს დავთარი აერიათ

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
საქართველოს ნაკრების მორაგბეს
ბესიკ უდესიანს
**მამის**
გარდაცვალების გამო



## საქართველოს მე-16 ჩემპიონატი

# თბილისი ივერცხლება

**გუშინ** თბილისში არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ვაჟ ხელბურთელთა სავერცხლო მატჩი გაიმართა. პრაქტიკულად, უკვე ჩემპიონიცაა ვადამდე გარკვეული და მეოთხე ადგილოსანიც. მეორე პრიზიორობისთვის კი ხელბურთის კლუბ „თბილისსა“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრ „ქარიშხალას“ შორის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს.

მეტოქეები გუშინ მეოთხედ შეიბნენ. წინა სამი თამაშიდან ორი „თბილისმა“ მოიგო, ერთი — „ქარიშხალამ“. სიმწვავე და დაძაბულობა არც გუშინდელ დაპირისპირებას აკლდა.

უშეღავათო, სწრაფტემპიანი ბრძოლა გაჩაღდა, რასაც, ბუნებრივია, მეტად პრინციპული შეხვედრისთვის ჩვეული ტექნიკური წუნიც და ზედმეტი სიფიცხეც ახლდა. კიდევ კარგი, უხეშობა ხელჩართულ ჩხუბში არ გადაზრდილა.

თავიდან „ქარიშხალას“ ქარიშხლურმა შეტევებმა საგრძნობი უპირატესობა მოუტანა — მეგოლე რატი მსხვილიძემ, ლევან ბერძენიშვილმა და ზურაბ მელქოშვილმა მეექვსე წუთისთვის სამჯერ უპასუხოდ გაუტანეს მეტოქეებს — 3:0.

„თბილისმა“ ანგარიშის „დასველება“ მხოლოდ მეცხრე წუთზე შეძლო. მანამდე მთავარი შემტევი ლაშა სამარლანიშვილი და მისი კოლეგები უშედეგოდ ცდილობდნენ მოწინააღმდეგის ორმეტრიანთა — ირაკლი სიგუას, მსხვილიძისა და ბერძენიშვილის ბლოკის გარღვევას. თანაც, მათ კარს ჩინებულად იცავდა გიორგი ტორონჯაძე, რომელსაც ფეხის ტრავმის მიუხედავად, სადარაჯო არ მიუტოვებია.

მერე ტორონჯაძეს ვიზავი გაგა სეთურიძეც „ამუშავდა“ — ხუთი აუღებელი ბურთი მოიგერია, მათ შორის, სამი პენალტი.

უმწირესგოლიანი მატჩის პირველი ნახევარი „ქარიშხალამ“ მინიმალური უპირატესობით მოიგო — 6:5 და შესვენების შემდეგ ათიოდე წუთიც წინ იყო, მაგრამ მერე ბიჭებს დაღლა დაეტყოთ, მიზანიც მოეშალათ და ძველმა სენმა იჩინა თავი — მიყოლებით 13 წუთი გოლი ვეღარ გაიტანეს, თავიანთ კარში კი ხუთი მიიღეს — 8:11 და პრაქტიკულად, მატჩის ბედიც გადაწყდა. გარდატეხაში კი, თამაშის გმირ სეთურიძის გარდა, დიდი წვლილი შეიტანა სამარლანიშვილმა, რომელმაც მეორე ტაიმში „აიწყვიტა“, თავად ოთხჯერ გაიტანა და თანაგუნდელებსაც უზუსტესი პასებით ამარაგებდა.

ქალთა შორისაც, თითქმის, იგივე ვითარებაა — „ფოთმა“ ქუთაისელებს მესამე დაპირისპირებაც მოუგო და ლამის გაინაღდა ვერცხლის მედლები.

თბილისელმა მარიეტა ბაინდურაშვილმა წყალტუბოელებს 13-ჯერ გაუტანა და 66 გოლით კვლავ ყველაზე წინაა მეგოლეთა სიაში. მეორეა გუშინ 16-ჯერ გამტანი ფოთელი ირმა შონია (58).

ვაჟთა შორის კვლავაც უპირობო ლიდერი სტუ-შევარდნელი გიორგი წივწივაძეა. გუშინ გიომ „მამულს“ 11 გოლი გაუტანა, უკვე 125 დაუგროვდა და 49-ით უსწრებს მეორე ადგილოსან ქარიშხლელ მსხვილიძეს.

დღეს ტურის დასკვნითი დღეა. 11 საათზე ქალთა ლიდერები „თბილისი“ და „ფოთი“ შეხვდებიან ერთმანეთს, 14 საათზე კი ვაჟთა უმთავრესი მატჩი გაიმართება უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენსა“ და „თბილისს“ შორის.

გია ახალაძე

### ვაჟები

სტუ-შევარდენი 30:23 სსსუ-მამული

ხ/კ თბილისი 14:12 ქარიშხალა

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 10 | 0 | 1 | +74 | 20 |
| თბილისი | 6 | 0 | 5 | +57 | 12 |
| ქარიშხალა | 5 | 0 | 6 | -3 | 10 |
| სსსსუ-მამული | 1 | 0 | 10 | -128 | 2 |

### ქალები

თბილისი 37:11 წყალტუბო

ფოთი 23:17 ქუთაისი

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 0 | 0 | +144 | 16 |
| ფოთი | 6 | 0 | 2 | +50 | 12 |
| ქუთაისი | 2 | 0 | 6 | -67 | 4 |
| წყალტუბო | 0 | 0 | 8 | -127 | 0 |

## ქართველები უცხოეთში

# ბარსელონა: შემონდი მოდაში შემოდის

### ზაზამ დინოზავრებს სტატისტიკურად შეუტია



აი, გადაგორდა კიდევ ერთი კვირა, რომელიც ჩვენი ლეგიონერებისთვის არც დიდად გამორჩეული იყო და არც ძალიან უფერული. საქართველოს „წარგზავნილებმა" ევროპისა და ამერიკის მოედნებზე ზოგან იყოჩაღეს და ზოგან ვერა. ყველაზე გამორჩეული სულაც არაა ქართველი, მაგრამ მაინც ჩვენი ეთქმის.

ჯერაც საქართველოს ნაკრების წევრად ითვლება შემონდ უილიამსი, რომელსაც ჯიბეში ქართული პასპორტი უდევს და „ბარსელონაში" არაამერიკელის კონტრაქტითაა მისული. უილიამსი ნბა-შია ჭიპმოჭრილი და ახლა გინდ „ბარსელონაში" ათამაშე და გინდ რუსულ „უნიკსში", გასაკეთებელს მაინც აკეთებს.

გასულ კვირას „ბარსამ" ევროლიგაში სწორედ შემონდის ძალისხმევით მოიპოვა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება. კატალონიელები მალაგაში „უნიკახას" სტუმრობდნენ და დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წამებზე 71:68 იმარჯვეს. უილიამსმა 36 წუთი დაყო მოედანზე და 19 ქულა მოინადირა, რომ აღარაფერი ვთქვათ 5 პასზე.

უილიამსმა არც პრიმერადივიზიონში შეირცხვინა თავი, როცა მისმა „ბარსელონამ" „ლანეირას" უმასპინძლა და 87:81 დასცა. შავკანიანმა „ქართველმა" 29 წუთში 10 ქულა გააკეთა, რასაც 4 მოხსნა და 5 პასიც მოაყოლა.

წარმატებულ სვლას აგრძელებს ვლადიმერ ბოისა, რომელმაც სერია A-ს ბოლოსწინა ტურში გვარიანი ქულუხვობა გამოიჩინა (26 წუთში 23 ქულა) და ახლაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო სიენელთაგან. სამწუხაროდ, ვოვას გუნდი „სნაიდეროსთან" დამარცხდა, თუმც ჩვენთვის ბოისას შედეგიანობა უფრო საინტერესოა. „სიენას" რუსთაველმა ფორვარდმა 26 წუთში 13 ქულასა და 7 მოხსნას მოუყარა თავი, მაგრამ სხვებმა ვერ იყოჩაღეს და...

ადრიატიკის ლიგაში ორი ისერა მატჩი გამოაცხვეს ჩვენებურებმა. ბოლოხანს მოყოჩაღებულმა მანუჩარ მარკოიშვილმა 24 წუთში მხოლოდ 5 ქულა და თითო პას-მოხსნა მიაშველა ლიუბლიანელებს, თუმცა „ოლიმპიამ" მაინც იოლად გატეხა „შიროკი" — 89:68.

ადრიატიკული ლიგის აშკარა აუტსაიდერმა „პივოვარნამ" მორიგი მარცხი იწვნია, ამჯერად ზაგრებში „ციბონასთან". დავით უგრეხელიძეს მოზომილივით აქვს 5-6 წუთი და ამჯერადაც ამდენი ხნით იბურთავა, თუმც შედეგიანობას ვერ დავუწუნებთ — ორიდან ორივე ორქულიანი ჩააგდო და ერთიც ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოხსნა.

ორკვირიანი შესვენების შემდეგ მოსკოვის „დინამო" რუსულ ჩემპიონატში ჩაება და სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკი" დაამარცხა. 19 წლის ქართველმა გამთამაშებელმა გიორგი ცინცაძემ მოედანზე 10 წუთი გაატარა და 2-2 ქულა-მოხსნასთან ერთად სამი პასიც მიითვალა.

უქულოდ დატოვა მოედანი ახალგამოჯანმრთელებულმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა, ვინაც მხოლოდ 6 წუთი ითამაშა „რეიმსის" წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, მისმა „დიჟონმა" იოლად გათელა მეტოქე და ცხრილში მომაგრდა.

ცხრილის ფსკერს მოსწყდა და მაღლა მიიწევს ზაზა ფაჩულიას „ატლანტა", თუმც ამ სეზონში „ქორები" რომ ვეღარ აფრინდებიან, ამას წყალი არ გაუვა.

ატლანტელებს ისღა დარჩენიათ, რეგულარულის ბოლომდე სათამაშო ტაქტიკა დახვეწონ და მოედანზე თავიანთი ჭია გაახარონ. ისევე როგორც ყველას, განსაკუთრებით კი ნბა-ში ახალმისულებს, ფაჩულიასაც უხარია, შთამბეჭდავი მაჩვენებლებით რომ გამოდის მოედნიდან. გასულ კვირის სამი მატჩიდან ზაზამ ერთი განსაკუთრებით შედეგიანი გამოაცხო. 17 ქულა თითქოს ბევრიც არაა, მაგრამ როცა ამდენს 20 წუთში აგროვებ, სულ სხვა ეშხი და ელფერი აქვს. თანაც ის მატჩი „ატლანტამ" მოიგო, ოვერტაიმიან ჯახში 113:111 დაამარცხა „ტორონტო".

ნიკა ცქიტიშვილი კი ზის. უკვე ცხადზე უცხადესია, რომ „ფინიქსი" მისთვის ნბა-ში თვითდამკვიდრების საშუალება არაა. „სკიტას" „სანზში" ისევე არ ენდობა მისი ბენეტონელი მასწავლებელი მაიკ დანტონი, როგორც ყველა აქამდელი პროფესიონალი მწვრთნელი.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | სნაიდერო | ს | 70:89 | 26 | 13 | 7 | 1 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | შიროკი | შ | 89:68 | 24 | 5 | 1 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | დინამო (მოს) | რუსეთის სუპერლიგა | სპარტაკი | შ | 87:76 | 10 | 2 | 2 | 3 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ციბონა | ს | 93:64 | 6 | 4 | 1 | 0 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი<br>ევროლიგა | ლანკირა<br>უნიკახა | შ<br>ს | 87:81<br>71:68 | 29<br>36 | 10<br>19 | 4<br>3 | 5<br>5 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | ლიტვის A ლიგა | დრუსკინი<br>იონავოსი | შ<br>ს | 97:83<br>84:94 | 14<br>32 | 0<br>11 | 5<br>1 | 2<br>3 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპიონატი | რეიმსი | შ | 93:70 | 6 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ. | ტორონტო<br>საკრამენტო<br>მაიამი | ს<br>შ<br>ს | 113:111<br>93:102<br>93:95 | 20<br>25<br>17 | 17<br>9<br>4 | 3<br>7<br>1 | 2<br>0<br>3 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ფინიქსი | NBA რეგულარული ჩემპ. | მილუოკი<br>დალასი<br>ორლანდო | შ<br>ს<br>შ | 123:110<br>115:107<br>123:118 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური





ზურაბ ზვიადაური



ირაკლი ცირეკიძე

# თეთრი და შავი ლისაბონში გამოჩნდება

**ძიუდოში** მსოფლიოს თასების სერიის გასრულებამდე სამი ტურნირი რჩება. მომავალი წლიდან ამ საერთაშორისო პირველობებზე პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების დარიგება დაიწყება. წლეულს კი ეს ტურნირები მხოლოდ ევროპის ჩემპიონატისწინა ეტაპად მიიჩნევიან. ძლიერი ნაკრებები ამ 8-თასიან ციკლს ძირითადად ოპტიმალური შემადგენლობის ჩამოსაყალიბებლად იყენებენ, სუსტნი — უბრალოდ, გამოცდილების მისაღებად.

ევროპირველობა 26-28 მაისს ფინურ ტამპერეში გაიმართება და საქართველოს ნაკრებს მასზე შარშანდელი მწირმოსავლიანი სეზონის შემდეგ იქ თავისი რეალური ძალის დასამტკიცებლად მოუწევს ბრძოლა.

მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი საევროპო შვიდეულს სავარაუდოდ მაისამდე არ დაასახელებს, თუმც რამდენიმე კაცი რომ საგზურთან ძალიან ახლოსაა, ჩეხური მსოფლიოს თასის დასრულებისთანავე გაგვიმხილა.

თბილისში მომავალ ხაბარელს ტელეფონით ვესაუბრეთ:

„მთლიანობაში პრაღაში ჩვენი გუნდის ჭიდაობით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. შვიდი მედალი ავიღეთ, მაგრამ ქების სიტყვები მარტო მედალოსნებს არ ეკუთვნით. რამდენიმე ჩემპიონ-პრიზიორმა კი ფაქტობრივად გაინაღდა ტამპერეში წასვლა".

მწვრთნელმა მეტი დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა, თუმც ამ სიის სამი სავარაუდო წევრი ჩვენით რომ ჩამოვუთვალეთ, დაგვეთანხმა:

„პირველ სამ წონაში უკვე თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. ნესტორ ხერგიანი (60კგ), ზაზა კედელაშვილი (66კგ) და დავით ქევხიშვილი (73კგ) აშკარად კონკურენტებზე წინ დგანან."

დანარჩენ ოთხ წონაში კი შიდა კონკურენცია დარჩენილ სამ მსოფლიოს თასზე გაგრძელდება.

„ცხადია, რამდენიმე ძირითადი კანდიდატი გამოკვეთილია და მთავარი ბრძოლები მათ შორის გაიმართება, მაგრამ არაა გამორიცხული, ამათ უკან მდგომმა ძიუდოისტმაც მოიპოვოს საევროპო შვიდეულში ადგილი. გადამწყვეტი იქნება ლისაბონის მსოფლიოს თასი (15-16 აპრილი), რომელზეც ყველა მთავარ კანდიდატს ვაჭიდავებთ. პორტუგალიაში შედგება ზურაბ ზვიადაურის დაბრუნებაც. მან ტრავმა უკვე მოიშუშა და ნაკრებში დასაბრუნებლად სერიოზულად ვარჯიშიც დაიწყო. 90 კილოგრამში ჯერჯერობით უპირობო ლიდერი ცირეკიძეა, თუმც ევროსაგზურისთვის ის და ზვიადაური იბრძოლებენ.

... უდიდესი კონკურენციაა მძიმე წონაშიც. ჩეხეთში ვერც ლაშა გუჯეჯიანმა შეძლო მედლის აღება და ვერც ზვიად ხანჯალიაშვილმა. ლისაბონის ტატამზეც ორივეს გავიყვანთ. იქამდე და მას მერეც წინასაევროპო შეკრებები გვიწევს და ფინეთში იმას ვაჭიდავებთ, რომელიც უკეთეს ფორმაში იქნება."

ქართველი ძიუდოისტები ჩეხეთიდან გუშინ გამთენიას ჩამოფრინდნენ. მორიგი მსოფლიოს თასი 18-19 მარტს როტერდამში ჩაივლის და იქ საქართველო მეორე-მესამე ნომრებით იჭიდავებს, ისევე როგორც 8-9 აპრილს გასამართ მოსკოვურ სუპერთასზე. პირველი საევროპო შეკრება კი ბაკურიანში 22 მარტს დაიწყება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული
კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი
**ვლადიმერ (კობა) ავალიანი**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

## რეგულარული ჩემპიონატი

# სენატორებს თავმჯდომარე არც სჭირდებათ

6 მარტი

**ვაშინგტონი 5:2 აილენდერსი**

*0:0 3:1 2:1*

**1:0 ოვეჩკინი (23), 1:1 ეშამი (28), 2:1 ფრიზენი (31), 3:1 ოვეჩკინი (40), 3:2 ბუშარი (42), 4:2 მიუირი (47), 5:2 მიუირი (57)**

„ვაშინგტონის“ მოგება პერსონალური მიღწევებმა გაალამაზა. მათი უმეტესობა ალექსანდრ ოვეჩკინის სახელთანაა დაკავშირებული. ახალბედა მეგოლემ ზედიზედ მეექვსე თამაშში გაიტანა და 40-გოლიან ნიშნულს გასცდა (სულ — 41), რასაც დებიუტანტებმა 13 წლის განმავლობაში ვერ მიაღწიეს ტეემუ სელიანეს ფენომენალური 76-შაიბიანი სეზონის შემდეგ. გარდა ამისა, ბოლოს „ვაშინგტონის“ მოთამაშეთაგან 40 გოლს ერთ სეზონში 5 წლის წინ აგროვებდა სახელოვანი პეტრ ბონდრა.

„მისი სტაბილურობა მართლაც საოცარია. ყველა დებიუტანტს უამრავი აღმართ-დაღმართის გავლა უწევს პირველ სეზონში, მაგრამ ოვეჩკინს ეს არანაირად არ ეხება. როგორც დაიწყო ჩემპიონატი, ასევე აგრძელებს და ეჭვი არ მეპარება, მომავალშიც ასე იქნება“ — დედაქალაქელთა თავკაცი გლენ ჰენლონი კვლავ აღფრთოვანებულია შუგირდის თამაშით.

**რეინჯერსი 1:2 კაროლინა**

*0:1 0:1 1:0*

**0:1 კევ. ადამსი (19), 0:2 უილიამსი (29), 1:2 რუჩინი (44)**

მიუხედავად მესამე პერიოდში დარტყმებში უნიკალური უპირატესობისა 17:0 (!) „რეინჯერსმა“ ჩემპიონატის ლიდერთან შეხვედრაში მაინც ვერ შეძლო ორშაიბიანი დეფიციტის აღმოფხვრა. აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ მესამე შემთხვევაა სეზონში, როცა ერთ-ერთ გუნდი მთელ პერიოდში ერთხელაც ვერ ახერხებს კარში დარტყმას.

**ტამპა 0:4 ოტავა**

*0:1 0:2 0:1*

**0:1 ვერმეტი (3), 0:2 სპეცა (32), 0:3 ფიშერი (34), 0:4 შეფერი (48)**

არ არის ჰაშეკი, არ არის პრობლემები. ყველასთვის მოულოდნელად, დომინიკ ჰაშეკის არყოფნა სრულიად არ ეტყობა „ოტავას“. პირიქით, მას შემდეგ, რაც ჩეხმა გოლკიპერმა ოლიმპიადაზე ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად კარში რეი ემერი ჩადგა, „სენატორები“ ზედიზედ მეოთხე თამაშს იგებენ. ამჯერად „ოტავამ“ თასის მფლობელი „ტამპაც“ არ დაინდო, რომელსაც ოთხი უპასუხო შაიბა გაუტანა. ემერიმ თავის მხრივ სეზონში მეორე შათაუტი შეასრულა და მატჩის შემდეგ აღფრთოვანებული იყო იმით, რომ თავისი ბავშვობის კერპს, „ტამპას“ გოლკიპერ შონ ბურკს მოუგო პირადი დუელი.

**ფილადელფია 5:4 მონრეალი**

*0:0 2:1 2:3 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

**1:0 ფორსბერგი (32), 2:0 უმბერგერი (35), 2:1 რიბეირო (36), 3:1 დეჟარდენი (46), 3:2 ჰიგინსი (49), 4:2 პიტკანენი (50), 4:3 რიბეირო (56), 4:4 სურეი (59), 5:4 გადამწყვეტი ბულიტი: ნედვედი**

**ატლანტა 4:3 ფლორიდა**

*2:1 0:1 1:1 0:0 1:0*

*ბულიტების სერიაში*

**1:0 დევრიზი (3), 1:1 იოკინენი (7), 2:1 ჰოსა (15), 2:2 ჟელინა (26), 3:2 ლარსენი (44), 3:3 იოკინენი (55), 4:3 გადამწყვეტი ბულიტი: კოზლოვი**





## NBA რეგულარული ჩემპიონატი



„სან ანტონიოსთან“ „ლეიკერსს“ კობი ბრაიანტის 43 ქულა ვერ გამოადგა

6 მარტი

**ნიუ ორლეანი 88:101 ფინიქსი**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (22), პოლი (14 ქულა, 11 პასი), სნაიდერი (13)

**ფინიქსი:** დიაუ (20 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), მარიონი (19 ქულა, 16 მოხსნა), ბელი (17), ბარბოსა (15)

*ციციშვილი სათადარიგო იყო*

**ლეიკერსი 96:103 სან ანტონიო**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (43)

**სან ანტონიო:** ჯინობილი (21), პარკერი (21), ფინლი (21), დანკანი (18 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა)

**შარლოტი 105:106 მაიამი**

ძირითადი დრო 98:98

**შარლოტი:** ვოლესი (26 ქულა, 15 მოხსნა, 6 ჩაჭრა), ნაითი (24 ქულა, 11 პასი), ფელტონი (19)

**მაიამი:** ონილი (35 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (24), ჰეისლიპი (16 ქულა, 13 მოხსნა), უოლკერი (16)

**დენვერი 115:101 მემფისი**

**დენვერი:** ენტონი (35), პატერსონი (16), ბოიკინსი (15 ქულა, 10 პასი), მილერი (14 ქულა, 11 პასი)

**მემფისი:** ჯეკსონი (22), მილერი (15), უორიკი (14)

**იუტა 90:85 ორლანდო**

**იუტა:** ოქური (22), კირილენკო (18 ქულა, 9 მოხსნა, 6 დაფარება, 5 პასი), უილიამსი (15)

**ორლანდო:** ჰოვარდი (18 ქულა, 14 მოხსნა), სტივენსონი (14), აროიო (14)

**ნიუ ჯერსი 84:109 საკრამენტო**

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (21), ჯეფერსონი (18)

**საკრამენტო:** ბიბი (29 ქულა, 10 პასი), მილერი (21), ველსი (16 ქულა, 10 მოხსნა)



# პატარა თაგვის დიდი პრობლემები

**მკითხველს** კარგად ეხსომება ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინ მოთამაშე ტეო ფლერი. მაშინ ნჰლ-ს ყველაზე ტანმორჩილმა და ერთ-ერთმა კოლორიტულმა ჰოკეისტმა თავი კიდევ უფრო იმით „გამოიჩინა“, რომ ალკოჰოლისადმი მიდრეკილების გამო ლიგის საგანგებო პროგრამის მონაწილე გახდა და რეაბილიტაციის სრული კურსი გაიარა. ამის გამო „მძლავრი თაგვის“ (ფლერის მეტსახელი) კარიერა ნჰლ-ში დასრულდა, მაგრამ ის ჰოკეიდან არ წასულა. ინგლისში გადაბარგებული ფლერი იქ დიდი ენთუზიაზმით მიიღეს, ვინაიდან ასეთი დონის მოთამაშე იშვიათად თუ მოისურვებს ნისლიანი ალბიონის ჩემპიონატში მონაწილეობას. ფლერიმაც თავიდან იყოჩაღა, პირველ 35 თამაშში 77 ქულა დააგროვა, მაგრამ ბოლო მატჩში მაინც თავისებურად „აურია“, მეტოქეს იდაყვი ჩაარტყა. როცა ამის გამო მსაჯმა მაიკ ჰიკსმა გააძევა, იგი ძლიერ გაცხარდა და არბიტრს შეეკამათა. ჰიკსმაც სულაც არ მიაქცია ყურადღება ფლერის ავტორიტეტს და კიდევ 10 წუთით დააჯარიმა. ამან საბოლოოდ გამოიყვანა „თაგვი“ მწყობრიდან. ტეოს საჯარიმოთა სკამიდან გამოსვლა და მსაჯზე გაწევა ერთი იყო, ბოლოს კი ჰოკეისტმა შაიბაც ესროლა მსაჯს, თუმც ოდნავ ასცდა. ფლერის მოედნიდან გაყვანა მხოლოდ თანამსაჯთა დახმარებით მოხერხდა, ხოლო მისი საქციელი საგანგებო სხდომაზე გაარჩიეს. ისე, ტეო ინგლისში პირველად როდი გაფიცხდა. ამას წინათ ერთ-ერთ მატჩში ასევე საჯარიმოთა სკამზე მყოფმა ჰოკეისტმა მეტოქის ფანებთან ჩხუბი წამოიწყო და საქმეში წესრიგის დამცავები ჩაერივნენ. შეგახსენებთ, რომ ტეო თავის ფიცხ ხასიათს ლიგაში თამაშის დროსაც ამჟღავნებდა.

**სამველ ლარიბიანი**



# წარუმატებელი დებიუტი ვენურ ვალსზე

## სუხიშვილების და სამბას იმედი გვაქვს

**ფიგურულად** მოცეკვავე ქართული წყვილის — ოთარ ჯაფარიძესა და ეკატერინა ზაიკინას — გუშინ საერთაშორისო დებიუტი ჰქონია. ქართულპასპორტიანმა ტოლიატელმა ზაიკინამ და საქართველოს ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტ ირაკლი ჯაფარიძის შვილმა, ოთარიმ ლიუბლიანაში იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ისრიალ-იცეკვეს.

16 წლის ზაიკინას და 19 წლის ჯაფარიძის დებიუტი მოლოდინისამებრ წარუმატებელი გამოდგა. პირველი დღის შემდეგ, 26 წყვილში 21,40 ქულით ჩვენები მე-20 ადგილზე არიან და ლიდერთა ათეულის ბოლოადგილოსნებს 6 ქულით ჩამორჩებიან.

ქართველმა წყვილმა გუშინ ავსტრიულ ვალსზე შეასრულა სავალდებულო პროგრამა. დღეს ისინი დაისვენებენ. ხვალ ლათინოამერიკულ მოტივებზე ჩა-ჩას და სამბას ელემენტებით იცეკვებენ, ზეგ კი თავისუფალი პროგრამაა. ჩვენები სუხიშვილების, „სულიკოსა“ და „ლეკურის“ შეჯერებული მელოდიით გამოვლენ.

პირველი დღის შემდეგ ამქარს კანადური წყვილი ტესა ვირტი და სკოტ მაიორი ლიდერობენ 34.88 ქულით. იმედია, ხვალ და ზეგ ჯაფარიძე-ზაიკინას წყვილი უკეთ გამოვა და პირველი ათეულის მორიახლო იტრიალებს.

**გაჩო სვანიძე**




# სპორტის ენციკლოპედია

## მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: “წიგნის სახლი” (გამსახურდიას 31);“სამშობლო” (ყაზბეგის 4); “ლიბრა” (კერესელიძის 12, “მეგალაინი”); “სანტა ესპერანსა” (სანქტ-პეტერბურგის 12); “მერანი” (რუსთაველის 42); “აისი” (ალმაშენებლის 89); “საუნჯე” (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ

*ბარსელონა (ესპანეთი)* 1:1 ჩელსი (ინგლისი) (2:1)

1:0 რონალდინიო (78), 1:1 ლამპარდი (90პ)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ოლეგერი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, დეკო, ედმილსონი, მოტა, მესი (ლარსონი 25), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, გალასი, ჯ. კოული (ჰუთი 83), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (გუდიონსენი 58), რობენი, დროგბა (კრესპო 58)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: კოული, მოტა, პუიოლი

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

98 260 მაყურებელი

*იუვენტუსი (იტალია)* 2:1 ვერდერი (გერმანია) (2:3)

0:1 მიკუ (13), 1:1 ტრეზეგე (65), 2:1 ემერსონი (87)

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა (ბალძარეტი 70), კამორანეზი (მუტუ 57), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო 57)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, შულცი, ფრინგსი, ბაუმანი (პასანენი 73), ბოროვსკი, მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 81)

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: მიკუ, ნედვედი, ბაუმანი, დელ პიერო

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

40 226 მაყურებელი

*ვილიარეალი (ესპანეთი)* 1:1 რეინჯერსი (შოტლანდია) (2:2)

0:1 ლოვენკრანდსი (12), 1:1 არუაბარენა (49)

ვილიარეალი: ვიერა, ხავი ვენტა (ექტორ ფონტი 46), გონსალო, პენია, არუაბარენა, სენა, ტაკინარდი, ხოსიკო, რიკელმე (კალეხა 86), ფორლანი, ხოსე მარი (გ. ფრანკო 46)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

რეინჯერსი: ვატერეუსი, ჰატონი, კირიაკოსი, ჟ. როდრიგესი, მიურეი, ბარკი (ნოვო 87), ფერგიუსონი, ჰემდანი, ნამუში, ლოვენკრანდსი, ბუფელი (ბოიდი 64)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: მიურეი, არუაბარენა, ჰატონი, ხოსიკო, ბუფელი, ვიერა, ტაკინარდი, ფრანკო

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

22 000 მაყურებელი



AFP ტურინიდან

იუვენტუსი — ვერდერი. ტურინელებს გერმანელთა ძლევა ძალიან გაუჭირდათ

# წარმოუდგენელი წარმოდგენა ჟოზე მაურინიუსთვის

**ჟოზე მაურინიუ** ნამდვილად არ წავა ბარსელონის თეატრში, სადაც იგი ირონიულად მიიპატიჟეს. თუმცა იგი და მისი „ჩელსი“ კატალონიას სპექტაკლის გარეშე არ დატოვებენ, რადგან წარმოდგენა „კამპ ნოუზე“ შედგა. მთავარ როლში გახლდათ რონალდინიო, რომელმაც ჩელსელებს თავბრუ დაახვია ჩვეული ტრიუკებით. მშვენივრად თამაშობდა ლიონელ მესიც, მაგრამ ახალგაზრდა არგენტინელი პირველ ნახევარშივე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

ბარსელონელები უფრო თავისუფლად თამაშობდნენ, მათ ხომ პირველი მატჩის ანგარიში უმაგრებდათ ზურგს. ლონდონელები კი ძალიან დაძაბულნი ჩანდნენ და თითქმის არაფერი გამოსდიოდათ. საერთოდ არ ჩანდა „ჩელსის“ ლიდერი ფრენკ ლამპარდი.

მეორე ნახევარში მაურინიუმ შეტევის გასამწვავებლად მინდორზე ერნან კრესპო და ეიდურ გუდიონსენი შეუშვა, მათ დემიენ დაფი და დიდიე დროგბა შეცვალეს. ამან თითქოს ცოტა გაამართლა, „ჩელსიც“ ოდნავ გამოცოცხლდა, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. ყველაზე რეალური შანსი კი კრესპოს შეექმნა, როდესაც ჯო კოულის კროსს ვიქტორ ვალდესის ცხვირწინ ფეხი შეაგება და ბურთი სანტიმეტრებით ასცდა კარს. ცოტაც და რონალდინიო სამ კაცში გაძვრა, პეტერ ჩეხს ახლო კუთხეში დაურტყა და სპექტაკლიც მორჩა. სანამ „კამპ ნოუზე“ ფარდას ბოლომდე ჩამოუშვებდნენ „ჩელსიმ“ პენალტით გაათანაბრა, ეს ისე, პროტოკოლისთვის — გოლის ავტორი ფრენკ ლამპარდი იყო.

უფრო დაძაბული და დრამატული წარმოდგენა გაიმართა „დელე ალპიზე“, სადაც 40 ათასი ქომაგი შეკრებილიყო. აქედან 12 ათასი სტადიონზე უფასოდ შეუშვეს ახლახან დამთავრებულ ზამთრის ოლიმპიადაზე გაწეული სამსახურის სანაცვლოდ.

მატჩის გმირად ბრემენელთა მეკარე ტიმ ვიზე უნდა ქცეულიყო, რომელმაც ბევრი რთული ბურთი მოიგერია, მაგრამ იგი ანტიგმირად იქცა. 87-ე წუთზე უწყინარ სიტუაციაში დაკარგა ბურთი და ბრაზილიელ ემერსონს ცარიელ კარში გაატანინა. „იუვენტუსი“ დიდი წვალებისა და ნერვების წყვეტის ფასად გავიდა მეოთხედფინალში.

იქამდე კი იყო იოან მიკუს გოლი ბუფონის კარში, ორივე კართან შექმნილი მრავალი სახიფათო მომენტი და 65-ე წუთი, როდესაც დელ პიეროს წაქცევის მიუხედავად ინგლისელმა არბიტრმა გრემ პოლმა მატჩის გაგრძელება ბრძანა, ხოლო ტრეზეგემ გოლი გაიტანა.

ამ მატჩების ფონზე „ვილიარეალი“ — „რეინჯერსზე“ შეჩერება უხერხულიც კია. გლაზგოელებმა პირველი ტაიმი მოიგეს და ბევრიც იომეს, მაგრამ სენსაცია არ შედგა — არუაბარენას გოლმა ესპანელები შემდეგ ეტაპზე გაიყვანა.

**გიორგი ქაქაბაძე**

## ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები

პლიმუთი 0:0 პრესტონი

ვულვზი 0:0 სტოკი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები

სუინდონი 1:2 ტრანმერი

იოვილი 1:2 ბრედფორდი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები

ბერი 0:1 სტოკპორტი

ჩესტერი 1:1 ტორკი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები

ალდერშოტი 1:4 აკრინგტონი

კემბრიჯი 1:1 გრეისი

დაგენემი 0:2 იორკი

გრეივსენდი 1:2 ჰერეფორდი

ექსეტერი — სტივენეიჯი გადაიდო

LDV VANS TROPHY
ნახევარფინალი
პირველი მატჩი

სუონსი 1:0 კოლჩესტერი

LDV VANS TROPHY
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

*მაკლსფილდი* 3:2დ.დ.(2:1) კარლაილი (1:2)

## შოტლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები

გრეტნა 3:0 დამბარტონი

ფორფარი — სტირლინგი გადაიდო

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები

ალბიონი 0:2 არბროთი

ბერვიკი 1:2 ქუინზ პარკი

კოუდენბითი — ელგინი გადაიდო

ისტ სტირლინგი — სტენჰაუზმური გადაიდო

## გერმანია

ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

კაიზერსლაუტერნი 1:1 შტუტგარტი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩები

ოსნაბრიუკი — ქემნიცი გადაიდო

ერფურტი — ლიუბეკი გადაიდო

ვუპერტალი — ვატენშაიდი გადაიდო

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

მეცი 0:0 ნანსი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

რეიმსი 0:1 ბასტია

## პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი

*კორონა* 3:0დ.დ.(2:0) ლეგია (0:2)

## fanaoba@hotmail.com

თავდაპირველად, ასე, ორი წლის წინ, „სარბიელში“ გაჩნდა რუბრიკა „ევროფანი“, რომელშიც დაუზარელი გულშემატკივარი ევროპის ჩემპიონატზე გვიზიარებდა შთაბეჭდილებას.

ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და რუბრიკამ სახელი შეიცვალა: ჯეოფანად გადაიქცა და მას მერე ქართულ ფეხბურთს დასტირის.

რასაკვირველია, ევროფანი და ჯეოფანი კიდევ შეგახსენებთ თავს, მათ კი ერთი რუბრიკაც დაემატა, რომელშიც ევროპულ საკლუბო ფეხბურთზე შეგიძლიათ გამოაგზავნოთ თქვენი აზრები, სურვილები თუ პროგნოზები. ჩემპიონთა ლიგა და ევროპული საკლუბო ფეხბურთიც მუდამ აქტუალური თემაა. ამ რუბრიკას კი ფანაობა ერქმევა.

მოკლედ, მოიწერეთ: **fanaoba@hotmail.com**-ზე.

არაკორექტული შინაარსის წერილები, რა თქმა უნდა, არ დაიბეჭდება.

fanaoba@hotmail.com

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბუგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა